საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

იმისთანა წმინდა საქმეში, რიგორიც ბოლდვე

წყალტუბო მსოფლიო დონის სპა კურორტი გახდება

„წყლტუბოს აღსადგენად, 500 მილიონი ლარის ინვესტიცია განხორციელდება. ამას გარდა, სახელმწიფო იღებს ვალდებულებას, რომ დამატებით, ათობით მილიონი ლარის ინვესტიცია განახორციელოს, რათა წყალტუბო თანამედროვე, მსოფლიო დონის სპა კურორტი გახდეს, ისეთი, როგორიც ჩვენ გვინახავს ევროპაში - ბადენ-ბადენში, კარლოვი-ვარსა თუ სხვაგან. წყალტუბოს აქვს პოტენციალი, რომ მსოფლიო დონის სპა კურორტი გახდეს“, — ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა, ირაკლი ღარიბაშვილმა წყალტუბოში განაცხადა. მისი თქმით, მთავრობის ხედვაა, წყალტუბოს აღდგენა დაიწყოს.

„ეს ჩვენი მმართველი პარტიის, ჩვენი დაპირებაც იყო. წყლისა და გენერალური გეგმის პრობლემებიც მოგვარებულია, ყველაფერი დასრულებულია და ჩვენ უკვე გასაყიდად გამოგვაქვს 14 სანატორიუმი, რომელთა ღირებულებაც დაახლოებით 50 მილიონი ლარია. ჩვენი მოლოდინია, რომ დაახლოებით 500 მილიონი ლარის ინვესტირება განხორციელდება“.

მოხუცთა რეგიონული თავშესაფარი — მცხეთაში

მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ წილკნის დევნილთა დასახლების მიმდებარე ტერიტორიაზე აქტიურად მიმდინარეობს მზრუნველობამოკლებულ მოხუცთა რეგიონული თავშესაფრის მშენებლობა, — ამის შესახებ ინფორმაციას მცხეთის მუნიციპალიტეტის მერია ავრცელებს. მათივე ინფორმაციით, მშენებლობა გასული წლის ნოემბერში დაიწყო და მისი დასრულება მიმდინარე წლის ბოლომდე დასრულდება.

აღნიშნული თავშესაფარი მოემსახურება მცხეთის, დუშეთის, თიანეთისა და ყაზბეგის მუნიციპალიტეტებში მცხოვრებ მზრუნველობამოკლებულ ხანდაზმულ მოქალაქეებს.

მიმდინარე სამშენებლო სამუშაოებს აფინანსებს ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს თავდაცვითი ურთიერთობების ოფისი, მშენებლობის ღირებულება შეადგენს 820 000 აშშ დოლარს.

ნაციონალებისა და მისი სატელიტების გარდა, ყველა მხარში გვიდგას!

„ქართული ოცნების“ თავმჯდომარის ირაკლი კობახიძის განცხადება

3 ივლისს განვითარებულმა მოვლენებმა საბოლოოდ ცხადყო ის, რასაც საზოგადოებას თავიდანვე ვპირდებოდით: ნაციონალურ მოძრაობას და მის სატელიტებს საქართველოში არეულობისა და რევოლუციის მოწყობის არავითარი რესურსი არა აქვთ.

საზოგადოებამ დაინახა, რომ რადიკალური ოპოზიციისთვის ევროკავშირის კანდიდატობის თემა მხოლოდ მოგონილი შირმა იყო და სინამდვილეში, ისინი ამ თემის გამოყენებით საკუთარი ვიწრო პოლიტიკური მიზნის მიღწევას - ხელისუფლების გადატრიალებასა და ძალაუფლების ხელახლა ხელში ჩაგდებას ცდილობდნენ. გუშინ რადიკალურმა ოპოზიციამ კიდევ ერთხელ აჩვენა თავისი ნამდვილი ანტისახელმწიფოებრივი ბუნება. გარდა ამისა, გუშინ უკვე საბოლოოდ წაიშალა ყოველგვარი ფორმალური ზღვარიც კი ნაციონალურ მოძრაობასა და საქართველოში მოქმედ ყველაზე მდიდარ ენჯეოებს შორის.

გუშინ ცხადი გახდა, რომ ბაკურიანის გეგმა ჩავარდა და მას აღსრულება არ უწერია. ამ გეგმის განხორციელებას ესაჭიროებოდა ერთი მთავარი რამ — ხალხის მხარდაჭერა. ნაციონალური მოძრაობა, მისი ახალგაზრდული რადიკალური ფრთა „სირცხვილია“ და ნაციონალური მოძრაობის ენჯეოსატელიტები კი, ამ მხარდაჭერას ვერასდროს მოიპოვებენ, რადგან მათ მხარეს არ არის სიმართლე.

როგორც მოგეხსენებათ, ჩვენ რამდენიმე დღის წინ საზოგადოებას წარვუდგინეთ ევროკომისიის მიერ დადგენილი 12 პუნქტის შესრულების დეტალური გეგმა. სამწუხაროდ, ამ გეგმას რადიკალურმა ოპოზიციამ და მასთან დაკავშირებულმა ენჯეოებმა კვლავ დესტრუქციული ქმედებებით უპასუხეს. თუმცა, ჩვენთვის მათი ქმედებები ვერცერთ შემთხვევაში ვერ იქნება გეგმიდან გადახვევის მიზეზი. ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე, საქართველოს აწ უკვე ოფიციალურად აღიარებული ევროპული პერსპექტივის გასამყარებლად, „ქართული ოცნება“ ზედმიწევნით შეასრულებს თითოეულ პუნქტს, რისთვისაც ყველა საჭირო ნაბიჯი სათანადო ფორმატში და სათანადო ვადებში გადაიდგმება. ვინც რეალურად არის დაინტერესებული საქართველოს მოსახლეობის 85 პროცენტის ნების რეალიზაციით, ევროკავშირში საქართველოს ინტეგრაციით და ჩვენი ქვეყნის მიერ კანდიდატის სტატუსის მიღებით, ბუნებრივია, ამ გეგმის განხორციელებაში აქტიურად ჩაერთვება.

როცა ნდობა არ არსებობს!



„ქართული ოცნება“ ევროკავშირის მიერ განსაზღვრული 12 პირობის შესასრულებლად სამუშაო ჯგუფების შექმნას გეგმავს. მათ შორის სამუშაო ჯგუფი შეიქმნება დეოლიგარქიზაციის შესახებ კანონზე მუშაობის მიზნით, ასევე, დაკომპლექტდება მონიტორინგის ჯუფი დეპოლარიზაციის ხელშესაწყობად. „ქართულ ოცნებაში“ აცხადებენ, რომ შეთავაზება ოპონენტებისთვის ერთგვარი ტესტია.

მმართველი გუნდის სტრატეგიას ოპოზიციის დიდი ნაწილი არ იზიარებს და საკუთარი გეგმა გაასაჯაროვეს — „გადადგეს მთავრობა!“ პარლამენტის საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტის თავმჯდომარის, **ირაკლი ქადაგიშვილის** განცხადებით, თუ ვინმეს რეალურად უნდა გააკეთოს ის, რასაც ევროკავშირი სთავაზობს ქვეყანას, ამის ერთადერთი გზა საპარლამენტო მუშაობაა.

„ვინც ამ გეგმას არ უერთდება, კიდევ ერთხელ თვითლუსტრაციას იკეთებს, რომ მათთვის, ევროკავშირთან დაკავშირებული ეს ბოლო ვნებათაღელვები არ იყო რეალურად იმ მიზნით, რომ საქართველოს ევროკავშირის პერსპექტივა გაეხსნას. მათთვის მთავარი იყო რაიმე საბაბი მოძებნილიყო, რათა რევოლუციური სცენარი, ქვეყანაში არეულობა, ქაოსი და ამ ფონზე მათი ოცნება, რომ ხელისუფლება ჩაეგდოთ ხელში — განხორციელებულიყო. აქედან გამომდინარე არჩევანი ძალიან მარტივია, თუ შენ გინდა გააკეთო ის, რასაც გთავაზობს ევროკავშირი, ამის ერთადერთი ადგილი და გზა არის საპარლამენტო მუშაობა“.

მმართველ გუნდში აცხადებენ, რომ შეთავაზება, რომელიც გაკეთდა, არის ხელისუფლების პასუხისმგებლობა, რომ შესრულდეს ის პრიორიტეტები, რაც ევროკომისიის მიერ დასახელდა საქართველოსთვის კანდიდატობის მინიჭებისთვის. პარლამენტის თავმჯდომარის განცხადებით, სამწუხაროდ, ზოგიერთი პოლიტიკოსი კვლავ რადიკალურ დღის წესრიგშია დარჩენილი.

„ახლა საკითხი დგას ასე, ვის სურს ევროპა, რომელიც გულისხმობს თანამშრომლობას და თანხმობას. სწორედ, აქეთ მოგვიწოდეს ჩვენ, მათ შორის ევროკომისიამ, რომელიც საუბრობს დეპოლარიზაციაზე; ევროპამ, რომელიც გულისხმობს კონსტრუქციულ კამათს, მაგრამ ამავე დროს ამ დემოკრატიული კამათის ფარგლებში დარჩენას და თანხმობისკენ სვლას. ეს არის ჩვენი ნაბიჯი და შეთავაზება.

ჩვენ, ჩვენი პასუხისმგებლობით ვიმოქმედებთ. არჩევანი დღეს არის მარტივი, ის, ვისაც უნდა ევროპა, უნდა შემოგვიერთდეს ჩვენ ამ წამოწყებაში, ვინც ჩვენ არ გვიერთდება, თავისთავად ის ამ ევროკომისიის წინადადებებზე, როგორც ჩანს, უარს აცხადებს. ამიტომ, პლატფორმა არის პარლამენტი, თემები არის განსაზღვრული, ვადები არის განსაზღვრული, ვისაც სურს ევროპა, მოვიდეს და იმუშაოს“, — განაცხადა **შალვა პაპუაშვილმა.**

ხელისუფლების შეთავაზებას ოპოზიცია ქუჩის აქციებით პასუხობს. ცნობილია ულტიმატუმიც — სანამ მთავრობა არ გადადგება, ოპოზიცია არ აპირებს ჩაერთოს ევროკომისიის მიერ დადგენილი 12-პუნქტიანი გეგმის შესრულებაში. ოპოზიციაში თვლიან, რომ მნიშვნელოვანია შესრულდეს 12-პუნქტიანი გეგმა და შესრულდეს იმ ადამიანების მიერ, რომლებიც საზოგადოების ნდობით სარგებლობენ.

„სტრატეგია აღმაშენებელის“ დეპუტატს **პაატა მანჯგალაძეს** ირაკლი კობახიძის შეთავაზებამ სულხან-საბას იგავი „მელა მოძღვრად“ გაახსენა. იგავი იმის

რევოლუციური სცენარებისთვის განკუთვნილი ფული ბინძური ფულია!

ჩემი მკითხველის აქტიური თანადგომით, ვაგრძელებ საძართველოში ანტისახელმწიფო პროექტებისა და მათი ღია და ფარული მხარდამჭერების მხილების კამპანიას.

ქართულ საზოგადოებაში ღრმა შეშფოთებას იწვევს კითხვა, **ძირითადი ანტისახელისუფლებო აქტივობები რატომ ფინანსდება ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო ფულით?** ცნობილია, რომ ყოველწლიურად ას მილიონ დოლარზე მეტი გამოიყოფა ე.წ. არასამთავრობო ორგანიზაციების, ე.წ. ექსპერტების, საქართველოში მოქმედი ამერიკული საერთაშორისო ინსტიტუტების (NDI, IRI), მედიის (რადიო თავისუფლება), აკერმან-ტრენინგებისა და ვინ მოთვლის კიდევ რა ჯურის წარმონაქმნებისთვის... **და თითოეული ცენტი მიმართულია დამნაშავე პოლიტიკური პარტიის, „ნაციონალური მოძრაობის“ გეგმების განხორციელებაზე, რაც არეულობის გზით ამ ბოროტი ძალის ხელისუფლებაში მობრუნებას გულისხმობს.**

რანაირად გინდა ეს ყოველივე ჩასვა ქვეყნებს შორის მეგობრობისა და პარტნიორობის კონტექსტში? ხალხის შეშფოთება ორმაგი შინაარსისაა, თუ შეიძლება ასე ითქვას: **ა) ამას სჩადის მთავარ სტრატეგიულ პარტნიორად აღიარებული სახელმწიფოს ადმინისტრაცია, რაც ჩვენს ქვეყანაში მიმდინარე პროცესებისადმი ამერიკის პოლიტიკური ინტერესის(?) გამოხატულებად უნდა ჩაითვალოს; ბ) ანტისახელისუფლებო აქტივობების მუდმივი და უწყვეტი მხარდაჭერა ხალხის არჩევანის, ხალხის ნების საწინააღმდეგო პოზიციის საჯარო დემონსტრირებაა(?).**

დიდ ანალიზს არ მოითხოვს იმ მძიმე დასკვნამდე მისვლა, რომ **ხდება უხეში და უსამართლო ჩარევა საქართველოს შიდა საქმეებში.** უფრო მძიმე კი იმ რეალობისთვის თვალის გასწორებაა, რომ **აშშ-ის პოლიტიკურ ისტებლიშმენტში არაფრად დაგიდევენ საქართველოს დემოკრატიული განვითარების, ეკონომიკური წინსვლისა და ზოგადად, საქართველოს ყველა სახისა და შინაარსის პოზიტიურ ინტერესს.**

ვის, ვის და ყველაზე კარგად სწორედ ამერიკელ პოლიტიკოსებს მოეხსენებათ, რომ საკაშვილის მოღალატე, მოძალადე, მძარცველმა და მწამებელმა რეჟიმმა ქართველ ხალხს ათასი ტკივილი და შეურაცხყოფა მოუტანა. მრავალი წლის განმავლობაში ჩადენილი დანაშაულების სია გრძელია. მხოლოდ ერთის გახსენება იკმარებს, თავისი განსაკუთრებულობის გამო — ნაცხელისუფლებამ მიზანმიმართულად გადააბარა რუსეთს, მტერ სახელმწიფოს, ქვეყნის მიწა-წყლის ოცი პროცენტი...

რუსული ოკუპაციის პარალელურად, **ქართული პოლიტიკის კულისებში (და არა მარტო კულისებში) ამერიკული დოლარების ფრიალი ჩვენს პატარა და ეულ (არავის მფარველობის ქვეშ მყოფ) სახელმწიფოს არ აძლევს მოსვენების, მშვიდად ყოფნისა და აღმშენებლობლობით პროცესებზე კონცენტრირების საშუალებას.** ასეთია მწარე რეალობა.

მე, ბიძინა დვალმა, სამოქალაქო საზოგადოების ერთმა აქტიურმა წევრმა, პირადი რწმენითა და პასუხისმგებლობით მინდა განვაცხადო და ამ სიტყვების წამკითხველ ყველა ადამიანს მოვუწოდო — **დროა, ფაქტებს და მოვლენებს ღიად დავარქვათ თავისი სახელები. ჩვენი სამშობლოს ინტერესების დაცვის მხოლოდ ერთი იარაღი გაგვაჩნია — სიმართლე, სიმართლე და კიდევ ერთხელ სიმართლე(!).**

უცხო ქვეყნის შიდა საქმეებში ჩარევისთვის და მითუმეტეს, რევოლუციური სცენარების განხორციელებისთვის გაღებული ფული ბინძური ფულია. საქართველოსთან ურთიერთობაზე ამერიკის პასუხისმგებელ პირებს **ჩვენი ქვეყნისთვის რისი „გაჩალიჩებაც“ სურთ, „ჩვენი ნაძირალას“ პრინციპი ჰქვია.** ზესახელმწიფოები ხშირად იყენებენ აღნიშნულ მეთოდს მათი გავლენის არეალში მყოფ ქვეყნებში.

ამერიკის ხელისუფლებამ უნდა იცოდეს, რომ საბჭოთა იმპერიისგან ბრძოლითა და დიდი მსხვერპლის ფასად თავისუფლების მომპოვებელი ქართველი ერი, რადაც არ უნდა დაუჯდეს, **წინ აღუდგება ნეოკოლონიალისტური დამოკიდებულების ყველანაირ მცდელობას — კრემლი კრემლია, გინდა, მოსკოვის იყოს და გინდა, ვაშინგტონის.**

წარსულში არც ნებით და არც ძალით არ დავბრუნდებით!

პირველ ეტაპზე, ამერიკის ხელისუფლებისადმი ჩვენი თავაზიანი მოთხოვნა იქნება, თავი შეიკავონ ქართველი ხალხის მიერ არაერთგზის გამოვლენილი ნებისადმი აგდებული დამოკიდებულებისგან, ქვეყნის შიდა საქმეებში უხეში და უსამართლო ჩარევისგან, რაც იმას ნიშნავს, რომ **დაუყოვნებლივ უნდა შეწყდეს ანტისახელისუფლებო და აქედან გამომდინარე, ანტისახელმწიფო სუბიექტებისა და პროექტების დაფინანსება.**

გმადლობთ, ყელამდე ვართ თქვენი პატივისცემით, მაგრამ არ გვინდა...

ბიძინა დვალი
03.07.2022 წ.

ნაცების დესტრუქციული სტრატეგია გრძელდება

ევროკავშირის დროშასა და ზოგიერთ საზოგადოებრივ ორგანიზაციას ამოფარებული ნაცმოძრაობა და მისი სატელიტი პოლიტიკური პარტიები დესტრუქციის სტრატეგიის გაგრძელებას აპირებენ, — ამის შესაებ პარლამენტის პირველმა ვიცე-სპიკერმა, გიორგი ვოლსკიმ განაცხადა.

„რასაკვირველია, ეს ბოლო აქციაც სწორედ ამ მიდგომასა და სულისკვეთებას გამოხატავს. დესტაბილიზაცია იყო, არის და სამწუხაროდ დღემდე რჩება მთავარ მიმართულებად, რომელსაც მიმართავენ კონკრეტული პოლიტიკური პირები“, — განაცხადა ვოლსკიმ.

ამას — დახვრეტა, ამას — ამოხრჩობა!..

ექსპერტი **ლევან ნიკოლეიშვილი ნინო ლომჯარიას განცხადებას ეხმიანება**, რომელიც „ალტ-ინფოს“ ბაზაზე დაფუძნებული პარტია „კონსერვატიული მოძრაობის“ აკრძალვას ეხება.

„თუკი რამე დანაშაულია ქვეყანაზე, ყველაფერი აქვს ჩადენილი „ნაციონალურ მოძრაობას“, მაგრამ ნინო ლომჯარია, მაინცდამაინც „კონსერვატიული მოძრაობის“ აკრძალვას ითხოვს. კიდევ კარგი სხვა დროა თორემ ვნახავდით ქალბატონ ლომჯარიას ტყავის ჩექმებით, ტყავის ქურთუკითა და მაუზერით ხელში, როგორ გამოაცხადებდა დასახვრეტი ხალხის სიას! რამდენი იკითხავს, მარტო გამოაცხადებდა თუ კიდეც“, — წერს ნიკოლეიშვილი Facebook-ზე.

შესახებ, თუ რა ემართებათ მათ, ვინც იჯერებს, რომ მელა არის მოძღვარი. როგორც მანჯგალაძემ განაცხადა, „ქართულ ოცნებასთან“ დიალოგი მხოლოდ მას შემდეგ შეიძლება, თუ განაცხადებენ, რომ დეოლიგარქიზაციაზე არიან თანახმა, რაც თავის მხრივ, ძალაუფლებიდან ბიძინა ივანიშვილის ჩამოცილებას გულისხმობს.

„ქართული ოცნების“ არ გვჯერა — ეს განცხადება მუხტის დასაგდებად სჭირდებათ. ირაკლი კობახიძემ პირველ პუნქტად დეპოლარიზება დაასახელა. მე ჩემი მხრიდან ვფიქრობ, რომ თუ დეოლიგარქიზაციაზე არიან თანახმა და ამასთან დაკავშირებით აქვთ გადაწყვეტილი, რომ ბიძინა ივანიშვილი ძალაუფლებას ჩამოსცილდეს, საუბარს ამის შემდეგ აზრი აქვს“, — განაცხადა **პაატა მანჯგალაძემ.**

პარტია „საქართველოსთვის“ წევრი **ნათია მეზვრიშვილი** ამბობს, რომ ხელს არ შეუწყობენ ფიქციური პროცესების შექმნას და უფლებას არ მისცემენ ოპოზიციას დააბრალოს 12 პუნქტის შეუსრულებლობა. „იმისთვის, რომ 12 პუნქტი შესრულდეს, საჭიროა, პუნქტების სწორი აღქმა. ჩვენგან ევროკავშირი ითხოვს რეალური რეფორმების განხორციელებას, სასამართლოს რეალურ დამოუკიდებლობას, დეოლიგარქიზაციას არა კანონის მიღებით, რომლითაც „ოცნება“ პუნქტს დააპლიუსებს, არამედ დეოლიგარქიზაციაში გულისხმობენ ბიძინა ივანიშვილს, კორუფციაში გულისხმობენ დამოუკიდებელი, ანტიკორუფციული სააგენტოს შექმნას.

„სასამართლოს რეალურ რეფორმაში პირდაპირ გულისხმობენ, გავლენის ჯგუფების აღმოფხვრას. სამწუხაროდ, რაც „ოცნებისგან“ მოვისმინეთ, ძალიან ბევრი კითხვის ნიშანია. მე პირადად გამიჩნდა კითხვები. მათ არ უსაუბრიათ დეოლიგარქიზაციაზე, არც ბიძინა ივანიშვილზე, არ უსაუბრიათ გავლენის ჯგუფების აღმოფხვრაზე. ცდილობენ, ტექნიკურ დონემდე დაიყვანონ და 12 პუნქტი ფართო პოლიტიკური შეთანხმების საგნად არ აქციონ“, — აცხადებს **ნათია მეზვრიშვილი.**

„გირჩს“ საკუთარი წარმოდგენა აქვს, როგორ უნდა შესრულდეს 12-პუნქტიანი გეგმა. პარტიის წევრის **სანდრო რაქვიაშვილის** განცხადებით, კომუნიკაცია ექნებათ ყველასთან.

„ჩვენ ჩვენი წარმოდგენა გვაქვს, როგორ უნდა შესრულდეს 12-პუნქტიანი გეგმა. ბუნებრივია, კომუნიკაცია ყველასთან გვექნება — მმართველ გუნდთან და ოპოზიციონერ კოლეგებთან. იმის მიხედვით, თუ რა პოზიციები ექნებათ მათ, გავაკეთებთ საბოლოო არჩევანს, თუ რა ფორმით მივიღებთ მონაწილეობას. მე საკმაოდ სკეპტიკურად ვარ განწყობილი, რომ ჩვენ, საბოლოო ჯამში, ამას შევასრულებთ“, — აცხადებს **სანდრო რაქვიაშვილი.**

თავის მხრივ, სამოქალაქო ორგანიზაციების წარმომადგენელთა განცხადებით, ევროკომისიის მიერ საქართველოსთვის წარდგენილი 12-პუნქტიანი მოთხოვნების გეგმის შესრულება შესაძლებელია. „სამართლიანი არჩევნების“ აღმასრულებელი დირექტორის, **ნინო დოლიძის** განცხადებით, ქვეყანაში პოლარიზაციის შესამცირებლად საჭიროა საქართველოს პარლამენტში ძალთა დაბალანსება მოხდეს. კერძოდ, 5 კომიტეტს ოპოზიციის წარმომადგენლები თავმჯდომარეობდნენ.

„ამის განხორციელებას დიდი დრო არ სჭირდება. კერძოდ, ხმათა 76% და პოლიტიკური ნების შემთხვევაში, ძალიან მარტივადაა მისაღწევი. ასევე, ძალიან მნიშვნელოვანია საკონსტიტუციო ცვლილებების განხორციელება, რომელიც ერთი მოსმენით უკვე გაიმართა და კიდევ 2 მოსმენაა საჭირო, რათა დამტკიცდეს. ამასთან, როდესაც არჩევნებზეა საუბარი, ძალიან მნიშვნელოვანია, საარჩევნო კანონმდებლობაში ცვლილება, რომელიც ეხება ცესკოს დამოუკიდებლობას, თავმჯდომარისა და მისი წევრების კონსენსუსის საფუძველზე დამტკიცებას. ეს იქნება მნიშვნელოვანი არჩევნებისადმი ნდობის ასამაღლებლად“, — განაცხადა **ნინო დოლიძემ.**

ანალიტიკოსი **ვახტანგ ძაბირაძე** ამბობს, რომ ოპოზიციასა და ხელისუფლებას შორის არის უნდობლობის უმაღლესი დონე. შესაბამისად, საუბარი იმაზე, რომ ხელისუფლება რაღაცას შესთავაზებს ოპოზიციას და მას ბოლოს დათანხმდება, ამის ნდობა არ არსებობს.

„ხელი მოაწერეს იგივე მიშელის დოკუმენტს, რომელზეც მერე ხელისუფლებამ თქვა, რომ არ მინდაო. შეთანხმება იყო ნულპროცენტიან ბარიერზე, პროპორციულ სიაზე და მერე აჯანყდა ხუნდაძე და ჩაიშალა. უნდობლობის მიზეზი აქვს ოპოზიციას. ამიტომ, ხელისუფლებას რიტორიკა კი არ სჭირდება, სჭირდება ქმედითი ნაბიჯების გადადგმა, რომ ოპოზიციას სათქმელი არ ჰქონდეს“, — აცხადებს **ძაბირაძე.**

მისივე თქმით, სხვა თემაა რამდენად სწორია საერთოდ ოპოზიციის გათვლები და პროცესი, რომელიც მას მიჰყავს. თუ, ამ პროცესს თავს დავანებებთ და პირდაპირ პრობლემაზე ვილაპარაკებთ, მთავარ პრობლემად რჩება უნდობლობა. ძაბირაძის განცხადებით, ამ უნდობლობის აღმოფხვრა ჯერჯერობით შეუძლია ხელისუფლებას, რომელმაც უნდა გადადგას ისეთი ნაბიჯი, რომ ჰქონდეს სათქმელი. „ისევ შარლ მიშელის დოკუმენტზე ლაპარაკობს ოპოზიცია. ხომ შეუძლია ხელისუფლებას, დაიწყოს ლაპარაკი საკონსტიტუციო ცვლილებებზე და თქვას, რომ მივიღოთ საკონსტიტუციო ცვლილებები და ამ გზას დაადგეს ნაბიჯ-ნაბიჯ?! ერთიანად ასეთი წამალი, რომ რაღაცას ხელისუფლება იტყვის და უცებ ეს უნდობლობა და პოლარიზაცია დასრულდეს, ასეთი რამე არ არსებობს.

მეორე მხარეა, რომ შეიძლება არც ერთ მხარს არ აწყობდეს ამ გზით სიარული, მაგრამ ჯერჯერობით არგუმენტები უფრო მეტი აქვს ოპოზიციას, ვიდრე ხელისუფლებას. ქალბატონმა დეგნანმა თქვა, რომ ხელისუფლებას აქვს დაჩქარებული წესით კანონის მიღების გამოცდილებაო — კი ბატონო, ასეა, მაგრამ ერთი კვირის წინ ისევ ჩინჩალაძეს რომ ნიშნავ სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარედ და თან სასამართლო რეფორმებზე ლაპარაკობ, ამის რომ არ სჯეროდეს ოპოზიციას, ეს ხომ გასაგებია. ამიტომ, ხელისუფლებამ უნდა გადადგას რეალური ნაბიჯი“, — აღნიშნა For.ge-სთან საუბრისას **ვახტანგ ძაბირაძემ.**

თამთა ქარჩავა

საქართველოს ომში ჩათრევა ჩვენ არ მოგვჩვენებია!



„ჯერჯერობით ეს არის პროქსი ომი, ანუ ომი მოკავშირეების მეშვეობით, საქართველო დასავლეთის მოკავშირეა. ამიტომ დასავლეთი მოითხოვს საქართველოსგან შეუქმნას პრობლემები რუსეთს მიუხედავად იმისა, თუ რა შედეგები მოჰყვება ამას საქართველოსთვის. ეს არის მთელი თამაში. საქართველოში არსებული ევროგაშმაგებულობაც ამით აიხსნება“, — აცხადებს ანალიტიკოსი სოსო მანჯავიძე.

სოსო მანჯავიძე:

უკრაინის ომი არის გეოპოლიტიკური დაპირისპირება კოლექტიურ დასავლეთსა და რუსეთს შორის, შესაბამისად, დასავლეთი დაგულისყურებულია ანაკონდას მარყუჟის აალებით და ამ მარყუჟში საქართველოც მოიაზრება!..

— მას შემდეგ, რაც ევროკავშირმაც ვერ გამოიმეტა უკეთესი სტატუსი ჩვენთვის, გაჩნდა მოსაზრება, რომ გლობალური მოთამაშეები საქართველოსნაირი მოწყვლადი ქვეყნის მდგომარეობით სარგებლობენ. დიმიტრი ხუნდაძე მიიჩნევს, რომ დღეს საქართველოს ათამაშებს რუსეთიც, თავისი იარაღის ჟღარუნით, და ევროპაც, ღია კარის პოლიტიკის შეთავაზებით. ამ ჩამონათვალს ხომ არ უნდა მივუმატოთ ნატოც, რადგან ნატოს მიმართ უსასრულო მოლოდინმა კიდევ უფრო მოწყვლადი გაგვხადა რუსეთის პირისპირ? სხვათა შორის, უკრაინაც უკმაყოფილოა ნატოს უსუსურობით და ზელენსკის პრეტენზიაც ნატოს მიმართ საქართველოს პოზიციას ესადაგება — „უკრაინამ ჯერ არ გადაიხადა საკმარისი?“ იგივე კითხვა რომ დავსვათ, საქართველომ ჯერ არ გადაიხადა საკმარისი?

— გავმიჯნოთ ერთმანეთისგან ის პროპაგანდა, რაც გამიზნულია მესამე ქვეყნების გულუბრყვილო მოსახლეობისთვის, იმ რეალური გეოპოლიტიკური ბრძოლისგან, რომელიც მიმდინარეობს კოლექტიურ დასავლეთსა და რუსეთს შორის, რომლის გამოკვეთილი მოკავშირეცაა ჩინეთი, ბელარუსი. ასეთ შემთხვევაში, უფრო ნათლად დავინახავთ პროცესებს. ნატოს მადრიდის სამიტი საეტაპო იყო, რომელზეც გამოიკვეთა და მემორანდუმშიც რუსეთი უკვე გამოცხადებულია მოწინააღმდეგედ, როგორც თავის დროზე საბჭოთა კავშირი. ეს დოკუმენტალურადაა გაფორმებული, ასევე, ამ დოკუმენტში სიტყვასიტყვით წერია, რომ რუსეთისა და ჩინეთის კავშირი ეწინააღმდეგება ნატოს ღირებულებებს. შესაბამისად, ზოგიერთი პოლიტოლოგის თუ სახელმწიფოს მოლოდინი, რომ ნატოში ბუნებრივად არსებული წინააღმდეგობაა ევროკავშირის ე.წ. კაროლინგურ ბირთვსა და ანგლოსაქსურ კომპონენტს შორის (ანუ ბრიტანეთი, შეერთებული შტატები) არ გამართლდა. ფაქტობრივად, ევროპა მისი ღერძის (გერმანიის, საფრანგეთის, იტალიის) შემადგენლობით მორჩილად მიჰყვება ანგლოსაქსურ კილვატერს, მიუხედავად იმისა, რომ ევროპისთვის ეს ძალიან მძიმე არჩევანია. პირდაპირ ვთქვათ, ეს საფრთხეს უქმნის ევროპის ეკონომიკურ, სოციალურ და პოლიტიკურ სტაბილურობას. ნატოს სამიტიდან გამომდინარე, შეიძლება ვთქვათ იმის შესახებაც, რომ, ფაქტობრივად, უკრაინის ომი გადაიქცა მესამე მსოფლიო ომის წინა ეტაპად. არაერთგზის მითქვამს, რომ უკრაინული მორევი კაცობრიობას, დიდი ალბათობით, უდიდეს დაპირისპირებაში ჩაითრევდა. სამწუხაროდ, ასე ხდება და არ ჩანს ამის შემაკავებელი ძალა. ვგულისხმობ იმას, რომ ფსონები უკრაინაში გამარჯვებაზე გაზრდილია და ღრმად იჭრება მხარეების შიდა პოლიტიკურ დისკურსში. იმ შემთხვევაში, თუ უკრაინაში დასავლეთის პოლიტიკა დამარცხდება, დემოკრატიულ პარტიას შეერთებულ შტატებში კრახი ელოდება. მას ისედაც ელოდება მძიმე მარცხი, თუ იმავე მეთოდებს არ გამოიყენებენ, რაც გამოიყენეს წინა არჩევნებზე. თუმცა კრახი უკრაინაში დამარცხების შემთხვევაში, იმ კოლოსალური ხარჯების გათვალისწინებით, რაც აშშ-მ უკრაინისთვის გაიღო, კატასტროფული იქნება!

ეს ხელისუფლებიდან მათ იზოლირებას გამოიწვევს დიდი ხნის განმავლობაში. შესაბამისად, დემოკრატიული პარტია და მასთან დაკავშირებული ტრანსნაციონალური კორპორაციები ყველაფერს გააკეთებენ იმისთვის, რომ ეს არ მოხდეს, რისთვისაც ყველა მათ ხელთ არსებულ ინსტრუმენტს გამოიყენებენ. ამიტომ კოლექტიური დასავლეთის კონსოლიდაცია ამ მიმართულებით გაგრძელდება, რაც შემდგომ მოქმედებებში გამოიხატება:

1) ეს იქნება საინფორმაციო ომის ინტენსიფიკაცია; 2) ეკონომიკური ომის ინტენსიფიკაცია; 3) ყველაზე საშიში, ამ მოქმედებების გადაზრდა ახალ-ახალ კონფლიქტებში, ანუ რუსეთის გარშემო ანაკონდას ცეცხლოვანი მარყუჟის აალება. ანაკონდას მარყუჟში ჩვენც მოვიაზრებით. შესაბამისად, საქართველოში მიმდინარე პროცესები, აგენტურის გააქტიურება სრულიად აბსურდული ლოზუნგებით, რომ რადგან ევროკავშირის მითიური წევრობის კანდიდატად არ მიგვიღეს, ამიტომ უნდა შევქმნათ ტექნიკური მთავრობა, აიხსნება სწორედ ამ გლობალური დაპირისპირებით. ე.წ. ოპოზიციის აქტიურობის უკან არის დიდი ფული და სერიოზული აგენტურული მუშაობა.

— ზვიად გამსახურდიას დამხობის შემდეგაც ასე მოხდა, ე.წ. ხუნტამ ვითომც ტექნიკური მთავრობა შექმნა. ეს ავბედითი „გამოცდილება“ ქართულ ოპოზიციას აქვს.

— ეს არის კლასიკური გეგმა, აკერმანის გეგმა, ამას არავინ მალავს. რაც მთავარია, პოლიტიკურ კულუარებში ეს ზეწოლა სრულიად აშკარად მიმდინარეობს. თვითონ ზეწოლის ცინიზმი ისაა, რომ ზეწოლის ობიექტებს, ამ შემთხვევაში, საქართველოს მთავრობას, უფლებას არ აძლევენ, სიმართლე თქვან, თუ რაშია საქმე. ამას იმიტომ აკეთებენ, რომ შემდგომში აღარ აიღონ პასუხისმგებლობა მომხდარზე და ყველაფერი დააბრალონ საქართველოს მთავრობას, თითქოს ეს მათი ინიციატივით მოხდა. სააკაშვილის პერიოდშიც ასე იყო, ვითომ სააკაშვილი გაგიჟდა და იმიტომ დაიწყო ომი ცხინვალის რეგიონში. შემდგომში მას ვითომც „ურჩევდნენ“, ეს ნაბიჯი არ გადაედგა. ასეთივე ვითარებაა დღესაც.

— თქვენ ამბობთ, რომ საქართველოს ხელისუფლებას სიმართლის თქმის საშუალებას არ აძლევენ. ირაკლი ღარიბაშვილი მართლაც აპირებდა ყველაფრის გამოაშკარავებას, თუკი ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსს არ მოგვანიჭებდნენ, მაგრამ შემდეგ გადაიფიქრა. ამჯერად უმრავლესობიდან გასული სამი დეპუტატი ხომ არ აიღებს ამ მისიას საკუთარ თავზე და აუხსნის მოსახლეობას, რა თამაშებიც მიმდინარეობს გლობალური მასშტაბით?

— რეალურად, მიმდინარეობს სრულიად კონკრეტული დიქტატი იმასთან დაკავშირებით, რომ საქართველომ უნდა შეუქმნას პრობლემები რუსეთს ყოველგვარი გარანტიების გარეშე, მიუხედავად იმისა, რა შედეგები მოჰყვება ამას საქართველოსთვის. ეს არის მთელი თამაში. ცხადია, ამ სამმა ადამიანმა (სოზარ სუბარმა, მიხეილ ყაველაშვილმა, დიმიტრი ხუნდაძემ) ძალიან კარგად იცის სიმართლე, თვითმკვლელობა არავის უნდა. უსირცხვილობა და ქვეყნის მტრობა ისაა, რომ ამ ოპოზიციამაც ძალიან კარგად იცის, რაშია საქმე, მაგრამ ამას ასაღებენ, ვითომ ეს რუსული ნარატივია. სინამდვილეში, ეს არის გეოპოლიტიკური ომი და ამ ომში ჩვენმა ქვეყანამ, რომლის კონსტიტუციაშიც წერია, რომ ჩვენ ვისწრაფვით ნატოსა და ევროკავშირისკენ, მათი გაგებით, უნდა შეასრულოს „თავისი როლი“. მათი აზრით, ეს როლი არის რუსეთისთვის სამხედრო პოლიტიკური და ეკონომიკური პრობლემების შექმნა, რისთვისაც დაიწყო ეს ბრძოლა. ჯერჯერობით ეს არის პროქსი ომი, ანუ ომი მოკავშირეების მეშვეობით, ეს ომი მიმდინარეობს რუსეთის საზღვრის მთელ პერიმეტრზე, ამ ომის კერების გაჩენისთვის მიმდინარეობს პოლიტიკური ზეწოლა, რისთვისაც ყველა ბერკეტს იყენებენ. ეს არა მარტო ჩვენთან ხდება, იგივეა ლიტვის, მოლდოვის, შუა აზიის ქვეყნების, ავღანეთის მიმართ, უკრაინაზე აღარ ვსაუბრობ. ასევე, მიმდინარეობს პროცესები რუსეთის ჩრდილოეთით, ნატოში შეჰყავთ შვედეთი და ფინეთი.

ნატოს მისწრაფება გაფართოებისაკენ ერდოღანმა გამოიყენა ქურთების საკითხის გადასაწყვეტად. ფაქტობრივად, ისეთ მემორანდუმზე მოუწერეს ხელი ერდოღანს, რომ ეს ყველაფრის დარღვევაა, რაც კი შეიძლებოდა დარღვეულიყო. მზად არიან, თურქეთს გადასცენ ქურთი ლტოლვილები, რომლებსაც დევნილის სტატუსი აქვთ, ოღონდ თურქეთს დაუდეს პირობა, რომ ვალდებულებას აიღებს თავის ციხეებში მდგომარეობის გამოსასწორებლად. ეს ხომ ცინიზმია. ასეთ დროს ჩვენ გვეუბნებიან, რომ საქართველოს ომში ჩათრევის მცდელობა თურმე მოგვჩვენებია. ამ ნარატივს ავრცელებს ნეოლიბერალური იმპერიალიზმის მეხუთე კოლონა — არასამთავრობო სექტორი, ე.წ. ოპოზიცია და მათი მედია. ამ ტრიადის მავნებლობა უკვე ჩვენს არსებობას უქმნის საფრთხეს.

ესაუბრა
მანანა ნოზაძე

ჩვენ გვეუბნებიან, რომ საქართველოს ომში ჩათრევის მცდელობა თურმე მოგვჩვენებია. ამ ნარატივს ავრცელებს ნეოლიბერალური იმპერიალიზმის მეხუთე კოლონა — არასამთავრობო სექტორი, ე.წ. ოპოზიცია და მათი მედია. ამ ტრიადის მავნებლობა უკვე ჩვენს არსებობას უქმნის საფრთხეს.

ეს ავტობუსი... სადაც მინდა, იქამდე თუ მიმიყვანს?!

თქმა არ უნდა, დედაქალაქის ავტობუსების პარკის ერთიანად განახლება მუნიციპალური ხელისუფლების მეტად დროული და გონიერი ნაბიჯია. სიტყვამ მოიტანა და ვიტყვი, რომ წლების მანძილზე მასმედიაში დამკვიდრებული „ქალაქის მერიის საჩუქარი თბილისელებს" მარტო მე არ მიმაჩნია, რბილად რომ ვთქვა, არასწორად და, შესაბამისად, არამართებულად. იმიტომ კი არა, რომ ქალაქელები ადგილობრივ ხელისუფალთა სასიკეთო საქმეებს მადლიერების გრძნობის გარეშე აღვიქვამთ, ანდა სათანადოდ არ ვაფასებთ, უბრალოდ, „საჩუქრების გაკეთება" „კეთილი ძიების" სამადლო მოქმედებაა, მუნიციპალური ჩინოსნები და რიგითი მოხელეები კი თბილისელთა მიერ დაქირავებული ხალხია და მოსახლეობის ყოფის გაუმჯობესებაზე დღენიადაგ, მუხლჩაუხრელი ზრუნვა მათი უშუალო მოვალეობაა და არა „კეთილი ნების ჟესტი" — „ძღვენი". ამას ისე, სხვათა შორის და, სრული გულწრფელობით ვაცხადებ, ყოველგვარი ნიშნის მოგების გარეშე.

სხვა საქმეა, რომ უწინდელი ყვითელი ავტობუსები იმთავითვე საკმაოდ მოძველებული იყო, თუმცა კი სამართლიანობა მოითხოვს ითქვას ისიც, რომ მათი შემოყვანაც არ იყო ურიგო საქმე.

რაც შეეხება ახალ ავტობუსებს, პირადად ჩემ აზრს მოგახსენებთ, რომ მათი, ალბათ ერთადერთი ნაკლი ისაა, რომ ერთდროულად მგზავრების არც თუ დიდი ოდენობის გადაყვანა შეუძლიათ — ცოტაა დასაჯდომი ადგილიც და ფეხზე დასადგომი სივრცეც საკმაოდ მცირე და ნაკლებად კომფორტულია. იმედია, რომ ახალი გრძელი — 18 და 24-მეტრიანი ავტობუსებით დედაქალაქის მუნიციპალური პარკის შევსებით ეს ხარვეზი ნაწილობრივ გამოსწორდება, თუმცა კი გასათვალისწინებელია ისიც, რომ თბილისის ძველი უბნებისთვის ეს მანქანები აშკარად გამოუსადეგარი იქნება.

შესავალი, ცოტა არ იყოს, ვრცელი გამომივიდა, ამიტომ მთავარ სათქმელს მოგახსენებთ! თბილისის მუნიციპალური ტრანსპორტის პარკის საყოველთაო განახლებას მისი ნუმერაციის შეცვლა რომ მოჰყვა, უთუოდ ყველამ ვიცით, მაგრამ, დარწმუნებული ვარ მგზავრთა ნაკადის აბსოლუტური უმრავლესობისთვის სრული ბურუსითაა მოცული საკითხის „გამგებელთა" ამ სრულიად გაურკვეველი დატვირთვის მქონე „სიახლის" ჯერ აუცილებლობა, შემდეგ კი არსი. სვლაგეზების ნუმერაციის ნაწილის შეცვლამ, ძალიან ბევრ ჩვენს თანამოქალაქეს თავგზა აურია — ხალხი წლების მანძილზე მიჩვეული ნომრის მარშრუტებს ამაოდ დაეძებს, ახლების დადგენაში კი მძღოლებსა თუ მათსავით გაჭირვებულ მგზავრებს „დამაზუსტებელი" კითხვებით მიმართავს, მაგრამ ხშირად ამაოდ.

აქვე მინდა კიდევ ერთ, ვფიქრობ მეტად საგულისხმო გარემოებას მივაქციო თბილისის სატრანსპორტო კომპანიის ხელმძღვანელთა (და არა მარტო მათი!) ყურადღება. ავტობუსით, მეტროთი, სამარშრუტო თუ ჩვეულებრივი ტაქსით მგზავრთა გადაყვანა **მომსახურების სფეროს** უმნიშვნელოვანესი სეგმენტი რომაა, ამაზე არა მგონია ვინმემ იდავოს. ჰოდა, თუკი თბილისში, სადაც მძღოლებს ათიათასობით თანამოქალაქე და უცხოელი სტუმარი გადაჰყავთ, ისინი **ვალდებულნი არიან** არა მხოლოდ საგზაო წესები დაიცვან უზადოდ, არამედ **მომსახურების დარგში მიღებულ საერთაშორისო სტანდარტებს შეესატყვისებოდნენ და არა საკუთარი გუნება-განწყობის შესაბამისად ექცეოდნენ ხალხს.**

ეს რომ ასეა, ამის დასტურად ცოტა ხნის წინათ გაზეთ „ასავალ-დასავალში" რუბრიკა „კვირგვინოსნებში" გამოქვეყნებული აქ მცხოვრები იაპონელი ქალბატონის **ჩიკა ომის** სიტყვებს მოვიშველიებ: **„საქართველოში ყველაფერი შემიყვარდა, „მარშრუტკის" მძღოლის უხასიათო სახეც კი".**

ვფიქრობ, რომ იმ ქვეყნის დედაქალაქში, რომელიც სახელმწიფო ხაზინის შევსების ერთ-ერთ უმთავრეს დარგად ტურიზმს მიიჩნევს, მომსახურების სფეროს ნებისმიერ სეგმენტში პერსონალის „უხასიათობა" აუცილებლად შინ უნდა რჩებოდეს და ხალხზე არ გადმოდიოდეს.

ამდენად, ვფიქრობ, სავსებით ბუნებრივია, კითხვით მივმართოთ დედაქალაქში საზოგადოებრივი ტრანსპორტის მესვეურებთ: იქნება აგვიხსნათ ამ „ნოუ-ჰაუს" არსი, ან გვითხრათ, ამით ახალი თავსატეხი შემოგვთავაზეთ თუ რაშია საქმე? იქნებ უფრო მეტი აზრი ჰქონდეს, იმაზე იზრუნოთ — ცხადია, საპატრულო პოლიციის სათანადო ჩართულობით — ჩვენში ასე მომრავლებული და, უმეტესწილად, საგზაო მოძრაობის წესების **სრული უგულებელყოფით** მოძრავი სწრაფი კვების კომპანიების მოტოროლერებზე შემოსკუპულმა შიკრიკებმა თავზე არ გადაგვიარონ!.. კარგად მესმის, რომ ეს ახალგაზრდები ერთობ მძიმე სამუშაოს ასრულებენ, მაგრამ ამ საზოგადოებრივად სასიკეთო საქმის კეთებამ ჩვენს ჯანმრთელობასა და, ასე განსაჯეთ, — სიცოცხლესაც! — საფრთხე ხომ არ უნდა შეუქმნას?!

ამ, ნამდვილად დამაფიქრებელ პრობლემას, ჩვენ ადრეც გამოვეხმაურეთ და ახლაც გავიმეორებთ: საკითხს სათანადო მიხედვა უნდა, ვიდრე, ღმერთმა დაგვიფაროს, და რაიმე სავალალო შედეგს მივიღებდეთ!

კიდევ ერთი: ავტობუსების თუ სამარშრუტო ტაქსების მარშრუტების დადგენისას, თბილისის სატრანსპორტო კომპანიაში მხედველობის არედან სრულიად გამორჩათ ის გარემოება, რომ დედაქალაქის ერთი უბნიდან მეორეში მგზავრთა კომფორტულად გადასაადგილებლად, მხოლოდ ერთი მარშრუტის ავტობუსი თუ სამარშრუტო ტაქსი აშკარად არასაკმარისია! ამის ყველაზე თვალსაჩინო მაგალითია ჩუღურეთისა და ვაკის რაიონების (აღმაშენებლის და ჭავჭავაძის პროსპექტების) დამაკავშირებელი მხოლოდ ერთადერთი №359 ავტობუსი, რომლის ლოდინი ხშირად ნახევარ საათზე გაცილებით მეტხანს გრძელდება ხოლმე. ეჭვი არ არის, რომ ასეთი ხარვეზები მგზავრების აქტიური მიმოსვლის კიდევ სხვა მიმართულებებზეცაა, ამიტომ თხოვნა იქნება, რომ მუნიციპალური ტრანსპორტის გამართულ, ხარისხიან მუშაობაზე პასუხისმგებელნი ყურად იღებდნენ ჩვენს თხოვნა-შენიშვნებს და სათანადო რეაგირებასაც დროულად ახდენდნენ.

ოთარ ტურაბელიძე

მთავრობის სხდომაზე 6 საკითხი განიხილეს!

მთავრობის 4 ივლისის სხდომაზე, რომელიც საქართველოს პრემიერ-მინისტრის ირაკლი ღარიბაშვილის ხელმძღვანელობით გაიმართა, განიხილეს საქართველოს კანონის პროექტი „მიკრობანკების საქმიანობის შესახებ", — ინფორმაცია მთავრობის ადმინისტრაციის პრესსამსახურმა გაავრცელა.

„საკანონმდებლო ინიციატივის მიხედვით, მიკრობანკის სახით შეიქმნება ფინანსური ინსტიტუტი, რომელიც ოპერირებას განახორციელებს იმ სექტორში, რომელშიც მაღალი საოპერაციო ხარჯების გამო კომერციული ბანკების ინტერესი შედარებით დაბალია.

მიკრობანკის კანონით განსაზღვრული მანდატი იქნება დააკრედიტოს სამეწარმეო და სოფლის მეურნეობის სექტორი, რითაც გაიზრდება ფინანსურ რესურსებზე მოსახლეობის ხელმისაწვდომობა, განსაკუთრებით — რეგიონებში. ასევე, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა ლევან დავითაშვილმა მთავრობას დასამტკიცებლად წარუდგინა „საქართველოს 2022-2025 წლების საგზაო უსაფრთხოების ეროვნული სტრატეგია და 2022-2023 წლების სამოქმედო გეგმა".

სტრატეგიის ძირითადი ამოცანებია საგზაო უსაფრთხოების მართვის ეფექტიანობის გაზრდა, საგზაო მოძრაობის მონაწილეების ქცევის გაუმჯობესება, უსაფრთხო საგზაო ინფრასტრუქტურა, ავტოსატრანსპორტო საშუალებების უსაფრთხოების ხარისხის გაუმჯობესება, სწრაფი და ეფექტიანი სამედიცინო დახმარების უზრუნველყოფა. მთავრობის სხდომაზე მინისტრთა კაბინეტმა დღის წესრიგით გათვალისწინებული 6 საკითხი განიხილა.

ქართველებმა გერმანელ დამსაქმებელს სასამართლო დავა მოუგეს!

გერმანიაში, სეზონურ სამუშაოზე დასაქმებულმა ქართველებმა გერმანელ დამსაქმებელს სასამართლო დავა მოუგეს. ახლა ბრძოლა ქართულ სასამართლოში, სსიპ დასაქმების ხელშეწყობის საგენტოს მიმართ, მიუღებელი შემოსავლისა და მორალური ზიანის დაკისრების მოთხოვნით გრძელდება.

„საქართველოს პროფესიული კავშირების" გაერთიანების ინფორმაციით, გერმანიაში, საქმის მოსამზადებელ სამუშაოებსა

და გერმანიის პროფკავშირების გაერთიანებასთან აქტიურ კომუნიკაციაში იყო ჩართული საქართველოს პროფკავშირების გაერთიანება. ქართულ სასამართლოშიც ქართველი სეზონური მუშების ინტერესებს სწორედ პროფკავშირების გაერთიანების იურისტი თამილა გაბაიძე იცავს.

როგორც პროფკავშირებში აღნიშნავენ, უახლოეს მომავალში დაინიშნება პროცესი, რომელზეც დაიკითხებიან მოწმეები, მათ შორის, გერმანიის შრომის ფედერალურ სააგენტოსთან დაკავშირებული ორგანიზაციის MIRA-ს წარმომადგენელიც, რომელმაც დასაქმების ადგილი თავად შეამოწმა და არაერთი დარღვევაც დაადგინა.

სასამართლომ გაიზიარა ქართველი სეზონური მუშების მოთხოვნები, დარწმუნდა, რომ ქართველებს ჩასვლისთანავე სურდათ სრული დატვირთვით მუშაობის დაწყება, რისი საშუალებაც დამსაქმებელმა არ მისცა და ამყოფებდა იძულებითი მოცდენის პირობებში. დადგინდა, რომ შეთანხმებას, რომელიც ითვალისწინებს „მინიმალური ხელფასის შესახებ" გერმანიის კანონით განსაზღვრულზე უფრო ნაკლები ოდენობით ანაზღაურებას, სამართლებრივი ძალა არ გააჩნია და ბათილია.

სასამართლომ დამსაქმებელს დააკისრა თითოეული დასაქმებულის სასარგებლოდ იძულებითი მოცდენის ანაზღაურება 2021 წლის 11 მაისიდან 31 მაისამდე პერიოდისთვის ხელზე ასაღები 1018 ევროს ოდენობით, ხოლო 01 ივნისიდან 17 ივნისამდე პერიოდისთვის - 909 ევროს ოდენობით.

„ყველაფერი გასულ წელს დაიწყო. გერმანიაში, მარწყვის ფერმაში სეზონურ სამუშაოებზე დასაქმება საქართველოს და გერმანიას შორის სამთავრობო დონეზე დადებული საშუამავლო ხელშეკრულებით რეგულირებული შრომითი ურთიერთობა იყო. თუმცა, გერმანელმა დამსაქმებელმა ქართველ სეზონურ მუშებს გერმანიის კანონმდებლობასთან აშკარა წინააღმდეგობაში მყოფი ხელშეკრულება ინგლისურ ენაზე გაუფორმა. არცერთმა დასაქმებულმა აღნიშნული ენა არ იცოდა. ხელშეკრულებაში მითითებული იყო, რომ მუშები საათში 9.35 ევროს მიიღებდნენ, თუმცა, სინამდვილეში დამსაქმებელმა ეს პირობაც დაარღვია. საათობრივი ანაზღაურების ნაცვლად, იგი ნამუშევარს 3 მოკრეფილი მარწყვის ყუთის პროპორციულად ანგარიშობდა.

გერმანიის პროფკავშირების გაერთიანების დახმარებით მარწყვის ფერმაში სეზონურ სამუშაოებზე დასაქმებულებმა სარჩელით მიმართეს გერმანიის სასამართლოს და მოითხოვეს 2021 წლის ივნისის თვეში დამსაქმებლის ბრალით იძულებითი მოცდენის ანაზღაურება „მინიმალური ხელფასის შესახებ" გერმანიის კანონით დადგენილი ანაზღაურების ტარიფით.

დამსაქმებელი ამტკიცებდა, რომ ქართველი მუშები დროულად არ ცხადდებოდნენ სამსახურში, ალკოჰოლს იღებდნენ, დილაობით არ ჰქონდათ მუშაობის სურვილი და ნაადრევად თვითნებურად ტოვებდნენ სამუშაო ადგილს. შესაბამისად, დამსაქმებელი კი არ ამყოფებდა მათ იძულებითი მოცდენის პირობებში, არამედ, თავად დასაქმებულები არ ასრულებდნენ სამუშაოს. დამსაქმებელმა ვერცერთი ეს გარემოება ვერ დაამტკიცა, რადგანაც ყველა მათგანი იყო მხოლოდ დამსაქმებლის სიტყვები, არ არსებობდა მტკიცებულებები, რის გამოც სასამართლომ დამსაქმებლის არგუმენტაცია დაუსაბუთებლად მიიჩნია", —აღნიშნულია პროფკავშირების მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

რა სახის დახმარებას მიიღებს უკრაინა ნატოსგან?

ᲜᲐᲢᲝᲡ ᲡᲐᲛᲘᲢᲛᲐ ᲓᲐᲐᲛᲢᲙᲘᲪᲐ ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲘᲡ ᲓᲐᲮᲛᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲞᲐᲙᲔᲢᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲛᲔ ᲐᲡᲔᲣᲚᲘ ᲛᲘᲚᲘᲝᲜᲘ ᲔᲕᲠᲝᲡ ᲓᲘᲠᲔᲑᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ. ᲗᲐᲝᲡᲜᲝᲑᲐ ᲛᲝᲙᲚᲔᲕᲐᲓᲘᲐᲜ ᲓᲐ ᲒᲠᲫᲔᲚᲕᲐᲓᲘᲐᲜ ᲛᲮᲐᲠᲓᲐᲭᲔᲠᲐᲡ ᲒᲣᲚᲘᲡᲮᲛᲝᲑᲡ. ᲠᲐᲡ ᲛᲝᲘᲪᲐᲕᲡ ᲓᲐᲮᲛᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲞᲐᲙᲔᲢᲘ, DEUTSCHE WELLE-Მ ᲒᲐᲐᲠᲙᲕᲘᲐ.

ᲜᲐᲢᲝ უკრაინის მხარდაჭერას გააფართოებს. ჩრდილოატლანტიკური შეთანხმების ორგანიზაციის 30 სახელმწიფოს ლიდერები მადრიდში, 29 ივნისს გამართულ სამიტზე უკრაინის დახმარების ახალ, ყოვლისმომცველ პაკეტზე შეთანხმდნენ.

„ჩვენ გავაგრძელებთ და გავაძლიერებთ ჩვენი ახლო პარტნიორის — უკრაინის პოლიტიკურ და პრაქტიკულ მხარდაჭერას. ის რუსული აგრესიისგან თავისი სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის დაცვას აგრძელებს,“ — ნათქვამია ნატოს მადრიდის სამიტის დეკლარაციაში. **„ეს დააჩქარებს არალეტალური თავდაცვის აღჭურვილობის მიწოდებას, გააძლიერებს უკრაინის კიბერუსაფრთხოებასა და მდგრადობას, ხელს შეუწყობს მისი თავდაცვის სექტორის მოდერნიზებას“,** — აღნიშნულია დოკუმენტში.

* * *

2014 ᲬᲚᲘᲡ შემდეგ, ალიანსმა უკრაინისთვის დახმარების გაწევა სატრასტო ფონდების დახმარებით აქტიურად დაიწყო. 2016 წლის სამიტზე კიევის დახმარების ყოვლისმომცველი პაკეტი პირველად დამტკიცდა. როდესაც 24 თებერვალს, რუსეთმა უკრაინის წინააღმდეგ ფართომასშტაბიანი ომი დაიწყო, ნატომ ეს დახმარება გააძლიერა. მას შემდეგ ალიანსი კიევს აწვდიდა საწვავს, პირველადი დახმარების მედიკამენტებსა და სხვა საშუალებებს, პერსონალურ დამცავ აღჭურვილობას ქიმიური, ბიოლოგიური და რადიოაქტიური საფრთხეებისგან.

ეს მხარდაჭერა ახლა კიდევ უფრო გაფართოვდება. სტოლტენბერგმა განაცხადა, რომ ახალი პაკეტით გეგმავენ, უკრაინა უსაფრთხო საკომუნიკაციო აღჭურვილობით, ტყვიაგაუმტარი ჟილეტებით, განაღმვის საშუალებებითა და დრონებით უზრუნველყონ.

ნატო ხაზს უსვამს, რომ ისინი უკრაინას ექსკლუზიურად არალეტალურ დახმარებას უწევენ. ლეტალურ იარაღს კიევს მოკავშირე ქვეყნები მხოლოდ ორმხრივი ან მრავალმხრივი წესრიგის ფარგლებში აწვდიან. ახალი პაკეტით როლების ეს განაწილება სავსებით არ შეიცვლება, რადგან ნატო მიზანმიმართულად გაურბის ყველაფერს, რამაც შეიძლება ალიანსი რუსეთთან კონფლიქტში ჩაითრიოს.

* * *

„ᲓᲐᲮᲛᲐᲠᲔᲑᲘᲡ ახალი, ყოვლისმომცველი პაკეტი ნატოში განიხილება როგორც „ნათელი და აშკარა“ სიგნალი, უკრაინის წინაშე გრძელვადიანი ვალდებულების დემონსტრირება, როგორც ახლა, ისე — წლების შემდეგ. ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია, რომ არავის — არც უკრაინელ ხალხს, არც უკრაინის ხელისუფლებას, არც რუსეთის ფედერაციას და ჩვენს არცერთ პარტნიორს არ შეეპაროს ეჭვი უკრაინის მიმართ ჩვენს ურყევ ერთგულებაში“, — განაცხადა ნატოში DW-ს წყარომ.

კიევი დაპირებული დახმარების ახალი პაკეტით კმაყოფილია. მადრიდში გამართულ სამიტს უკრაინის პრეზიდენტის აპარატის უფროსის მოადგილე იგორ ჟოვკვა დაესწრო. **„ასეთი მიწოდების მიმართულებით, დღეისათვის ნატო აკეთებს იმას, რაც შეუძლია. შემიძლია დაგიდასტუროთ: დიახ, ეს ჩვენს მოლოდინებს შეესაბამება. რა თქმა უნდა, იარაღის მიწოდების კუთხით, ჩვენ გვსურს უფრო მეტი და უფრო სწრაფად. თუმცა ამაზე ვმუშაობთ“,** — აღნიშნა ჟოვკვამ.

* * *

ᲛᲝᲡᲐᲚᲝᲓᲜᲔᲚᲘᲐ, რომ ალიანსის ქვეყნები დახმარების ახალი პაკეტისთვის რამდენიმე ასეულ მილიონ ევროს გამოყოფენ. ზუსტი ციფრი ჯერჯერობით უცნობია, რადგან ზოგიერთი პროექტი ახლა მზადდება. DW-ის წყაროს ცნობით, 24 თებერვლის შემდეგ, ნატოში უკრაინის დასახმარებლად 22 მილიონი ევრო გამოიყო.

აღნიშნული დახმარება ან უკვე მიწოდებულია, ან მიწოდების პროცესშია. ამასთანავე, დამტკიცდა კიდევ 40 მილიონი ევროს დახმარება და ახლა მის გადაცემაზე მუშაობენ. ახალი პაკეტი კიდევ 330 მილიონი ევროს პროექტებს ითვალისწინებს. ისინი დამუშავების პროცესშია და მათთვის საჭირო თანხა სატრასტო ფონდის მეშვეობით ჩაირიცხება.

* * *

ᲐᲠᲐᲚᲔᲢᲐᲚᲣᲠᲘ დახმარების გარდა, ახალი პაკეტი კიდევ ერთ, გრძელვადიან ფაქტორს ითვალისწინებს. ამის აუცილებლობა განპირობებულია იმით, რომ ომის მიმდინარეობის პროცესში როგორც უკრაინაში, ისე — ალიანსის ქვეყნებში სულ უფრო ნაკლები საბჭოთა ტიპის იარაღი რჩება. ახალი მიწოდების შედეგად კი, უკრაინის შეიარაღებულ ძალებს ნატოს სტანდარტების შესაბამისი სულ უფრო მეტი იარაღი ექნება. შესაბამისად, გრძელვადიან პერსპექტივაში, ნატო დაეხმარება კიევს, ახალი ტიპის შეიარაღებაზე გადავიდეს.

ამ მიზნით, ალიანსი უკრაინის ხელისუფლებასთან ერთად, უკრაინის შეიარაღებულ ძალებსა და ნატოს ქვეყნების ჯარებს შორის ოპერატიული კავშირის მისაღწევად საგზაო რუკას შეიმუშავებს. **„ჩვენი მიზანია მხარი დავუჭიროთ უკრაინას ამჟამინდელი, საბჭოთა ტექნიკიდან თანამედროვე, დასავლურ აღჭურვილობასა და იარაღზე გადასვლის საგზაო რუკის შემუშავებაში. ეს აუცილებლად გრძელვადიანი პროცესი იქნება“,** — განაცხადა ნატოს ჩინოვნიკმა. რამდენი დრო დასჭირდება საბოლოო ცვლილებას? **„ეს იქნება მრავალწლიანი პროცესი. ჩვენ ვვარაუდობთ, რომ ამას, სულ ცოტა, ხუთიდან ექვს წლამდე დასჭირდება“,** — დასძინა DW-ს წყარომ.

ნატოს სტანდარტების იარაღზე გადასვლის პარალელურად, კიდევ ერთი პროექტი განხორციელდება. ეს უკრაინის სამხედრო-სამრეწველო კომპლექსს ეხება. როგორც ცნობილია, უკრაინული ტექნოლოგიები, ძირითადად, საბჭოთა იარაღის მიღწევების გაგრძელებაა. თანდათან ესეც შეიცვლება. **„ჩვენ ასევე ვფიქრობთ, რომ უკრაინა რუსეთთან ბრძოლებში მიღებულ გამოცდილებას გაგვიზიარებს. ჩვენ ვიმუშავებთ უკრაინასთან, რათა მისი თავდაცვის ინდუსტრიის ტრანსფორმაცია მოხდეს“,** — განაცხადა ალიანსის წარმომადგენელმა. აღსანიშნავია, რომ ორივე პროექტი — საგზაო რუკა და იარაღის წარმოების ტრანსფორმაცია — წლის ბოლომდე უნდა შემუშავდეს.

შავ ზღვაში რუსული ხომალდების რაოდენობა გაიზარდა

ᲝᲓᲔᲡᲘᲡ სამხედრო ადმინისტრაციის წარმომადგენლის, სერგეი ბრაჩუკის განცხადებით, აგრესორი ქვეყნიდან სარაკეტო თავდასხმის საფრთხე კვლავ მაღალია.

„შავ ზღვაში „კალიბრის“ ტიპის საზღვაო რაკეტების მატარებელი ხომალდების რაოდენობა გაიზარდა. 5 გემზე 30-ზე მეტი რაკეტაა — უკრაინას ზღვიდან 3 წყალზედა და 2 წყალქვეშა სამხედრო ხომალდი ემუქრება“, — აღნიშნა ბრაჩუკმა. რუსეთი ფრთოსან რაკეტა „კალიბრს“ შავ ზღვაში ჯერ კიდევ 3 წლის წინ ცდიდა.

უკრაინის ომმა გერმანიაში კრიზისი გამოიწვია

ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲘᲡ კანცლერმა, ოლაფ შოლცმა განაცხადა, რომ გერმანელები უნდა გაერთიანდნენ, რათა უკრაინის წინააღმდეგ რუსეთის აგრესიით გამოწვეული ხარჯების მკვეთრი ზრდის ისტორიულ გამოწვევას გაუმკლავდნენ.

„არსებული კრიზისი რამდენიმე თვეში არ ჩაივლის. ჩვენ მზად უნდა ვიყოთ იმისთვის, რომ ეს სიტუაცია არ შეიცვლება უახლოეს მომავალში. უკრაინის წინააღმდეგ რუსეთის აგრესიულმა ომმა ყველაფერი შეცვალა და მიწოდების ჯაჭვები კვლავ დარღვეულია, რადგან პანდემია და ზოგადი გაურკვევლობა იზრდება. ჩვენ მხოლოდ იმ შემთხვევაში გადავლახავთ კრიზისს, თუ ერთობლივად შევთანხმდებით გადაწყვეტილებებზე“, — აღნიშნა გერმანიის კანცლერმა.

შმიგალი ვაჭრობს, ზელენსკი ვაჭრობს... უკრაინა კი განადგურდა...



ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲘᲡ პრემიერ-მინისტრმა, დენის შმიგალმა განაცხადა, რომ უკრაინას აღდგენის გეგმისთვის 750 მილიარდი დოლარი სჭირდება.

შვეიცარიაში, უკრაინის აღდგენის კონფერენციაზე სიტყვით გამოსვლისას, უკრაინის პრემიერ-მინისტრმა განაცხადა, რომ რუსეთის შემოჭრის შედეგად, უკრაინის ინფრასტრუქტურას 100 მილიარდ დოლარზე მეტი ოდენობის პირდაპირი ზიანი მიადგა.

„დღეს უკრაინის პირდაპირი ინფრასტრუქტურული ზარალი 100 მილიარდ დოლარზე მეტია. ვინ დააფინანსებს აღდგენის გეგმას, რომელიც უკვე 750 მილიარდ დოლარად არის შეფასებული?“ — აღნიშნა დენის შმიგალმა. უკრაინის პრემიერ-მინისტრმა აღნიშნა, რომ უკრაინის მთავრობა მიიჩნევს, რომ აღდგენის გეგმის დაფინანსების ძირითადი წყარო რუსი ოლიგარქებისთვის ჩამორთმეული აქტივები უნდა იყოს.

თურქეთი შვედეთსა და ფინეთს ნატოში არ დაუშვებს!

ᲗᲣᲠᲥᲔᲗᲘᲡ საგარეო საქმეთა მინისტრმა, მევლუთ ჩავუშოღლუმ განაცხადა, რომ თურქეთი შვედეთსა და ფინეთს ნატოში არ დაუშვებს, თუ სტოკჰოლმი და ჰელსინკი თურქეთისთვის მიცემულ დაპირებებს არ შეასრულებენ.

მევლუთ ჩავუშოღლუს თქმით, შვედეთი და ფინეთი ალიანსში ვერ გაწევრდებიან, თუ თურქეთის პარლამენტი მათი ნატოში გაწევრების განაცხადების რატიფიცირებას არ მოახდენს. მან გაიმეორა, რომ შვედეთმა, ფინეთმა და ნატოს მოკავშირეებმა პატივი უნდა სცენ თურქეთის ეროვნული უსაფრთხოების საკითხებს და დასძინა, რომ ორი სკანდინავიური ქვეყნის ლიდერები და მაღალი რანგის ოფიციალური პირები აღიარებენ, რომ ისინი არანაირ მხარდაჭერას არ გაუწევენ ტერორისტულ ჯგუფებს.

შვედეთმა და ფინეთმა თურქეთისთვის მიცემული დაპირებები უნდა შეასრულონ — სტოკჰოლმის დაპირება 73 „ტერორისტის“ ექსტრადირებაზე.

სიკეთე, სიმართლე, სიყვარული

ნუგზარ კიკნაძე

75 წლის, ინჟინერი, ზღვაოსანი, მწერალი

ადამიანის შესაძლებლობათა გამოცდა, ანუ ცოდნა იმისა, თუ სად გადის პიროვნების შესაძლებლობის ზღვარი, ოდითდგანვე იყო და არის მაძიებელ და უშიშარ კაცთა ინტერესის საგანი. ჩვენი გმირი ნუგზარ კიკნაძეც დღემდე თავისი ბავშვობა-ყმაწვილობის დროს დასახული უჩვეულო მიზნის ერთგულია.

პირველად საქართველოს ისტორიაში თვითნაგები კრეისერული იახტით, რომელსაც უწოდა მეუღლის სახელი „ლინა“ (სიგრძე 11 მ., სიგანე 3 მ., წონა 3.5 ტონა) დედამიწის გარშემო მარტოდმარტო ნაოსნობის პირველი ეტაპი, ფოთიდან ატლანტის ოკეანის კანარის კუნძულებამდე ეულად წარმატებით გაიარა და გამოაქვეყნა დიდებული წიგნი – თავგადასავალი „პატარა ნავით დიდ ოკეანეში“.

ამის შემდეგ იყო სარეკორდო, მსოფლიოში უმცირესი იახტა (სიგრძე 3.27 მეტრი), რომელსაც უწოდა თავისი მონატრებული დედულეთის სახელი „აფხაზეთი“. დაიგეგმა აღნიშნული აფრიანი ნავით თბილისის ზღვიდან აფხაზეთის სიახლოვეს გადატანა, შავი ზღვის პირობებში გამოცდა. 2003 წლის 26 მაისს ანაკლიიდან გასვლა და ქართულ-აფხაზური მისიით დედამიწის გარშემო, უძველესი ცივილიზაციების კვალდაკვალ, 1000 დღე-ღამეში 50 ათასი კილომეტრის გაცურვა...

ქართველი მარტოკაცის ნაოსნობისათვის აუცილებელი თანხა, არც თუ დიდი იყო, მაგრამ მსოფლიოს თვალში სამშობლო ქვეყნის უკეთ წარმოჩენის მოსურნეს თანამოაზრე-დამფინანსებელი არ გამოუჩნდა. ამ დროს ბედის ირონიაა, სხვანაირად როგორ უნდა ითქვას ის, რომ მსოფლიოს ორასზე მეტ ქვეყანას შორის მრავალს აქვს გარსაქვეყნო მარტოდმარტო ნაოსნობის დაფინანსების საშუალება, მაგრამ არ ჰყავთ სათანადოდ მომზადებული, ჩვენი გმირის სადარი ზღვის ლომი!

ამჟამად ბატონი ნუგზარი ამთავრებს თავის მეშვიდე კრეისერულ იახტას, რომელსაც ძვირფასი დედის სახელი ჰქვია – „ნინა“. სოლიდურ ასაკში მყოფი ზღვაოსნის მიზანი ამჯერად შედარებით მოკრძალებულია – მსოფლიოს ერთ-ერთი უძველესი ცივილიზაციის კერების – შავი და ხმელთაშუა ზღვის აუზის ქვეყნების შემოვლა ოჯახის წევრებთან ერთად და ნანახ-მოსმენილ-განცდილის ფართო საზოგადოებისათვის წიგნად და ვიდეოფილმად შეთავაზება.

ხათუნა მაისურაძე

39 წლის, ფეხბურთის მსაჯი

ახალსოფლის (გუდაუთა) სტადიონი სახლთან ახლოს იყო და უფროსი თაობის ფეხბურთის თამაშით მოხიბლული ხათუნა მაისურაძე მუდამდღე თანატოლ გოგო-ბიჭებთან ერთად ფეხბურთს თამაშობდა. აფხაზეთი მაშინ ქართული ფეხბურთის ერთ-ერთი სამჭედლო გახლდათ – ჩვენი გუნდები ყოველწლიურად რამდენიმე თვე ზღვისპირეთში ვარჯიშობდნენ და თამაშობდნენ. წამყვან ფეხბურთელთა მნიშვნელოვანი ჯგუფი სწორედ აფხაზეთში დაბადებული და გაზრდილი იყო.

მშობლები ფეხბურთის დიდი გულშემატკივრები იყვნენ, განსაკუთრებით მამა, თამაზი. 1992 წლის აგვისტო გუდაუთის რაიონში მცხოვრები ათი წლის ხათუნას ოჯახისთვის ტრაგიკული უღელტეხილი აღმოჩნდა. რუსეთთან ომის პირველსავე დღეებში უცნობმა შეიარაღებულმა პირებმა მამა სახლიდან გაიყვანეს და შინ აღარ დაბრუნებულა... დედამ და დებმა სამშვიდობოს კეთილი ადამიანებისა და წითელი ჯვრის დახმარებით გააღწიეს.

თბილისში დამკვიდრებული ერთხანს ქალთა ხელბურთის გუნდში თამაშობდა. 9 წელიწადი (1997-2006) ხელბურთელთა გუნდი „მართვე“ იყო მისი ასპარეზი – გუნდმა მრავალგზის მოიპოვა საქართველოს ჩემპიონობა. სამწუხაროდ, იმ დროს ხელბურთის გუნდს ხელშემწყობი არ გამოუჩნდა და იძულებული გახდა ხელბურთიდან წასულიყო.

ამ დროს ფიფა და უეფა ქალთა ფეხბურთის განვითარებას, ქალთა და კაცთა საფეხბურთო მატჩების მსაჯებად ქალთა დაწინაურებას დიდ ყურადღებას უთმობდა. ხელბურთის მიტოვების შემდეგ გულმა ისევ ფეხბურთისაკენ გაუწია და გადაწყვიტა ფეხბურთის მსაჯი გამხდარიყო. საქართველოს XX საუკუნის საუკეთესო არბიტრის ანატოლი მილჩენკოს (1938-2011) რეკომენდაციით ხათუნა საფეხბურთო მსაჯი გახდა.

ახალ ამპლუაში საუკეთესო ფიზიკურ, სულიერ და სპორტულ ფორმას ინარჩუნებდა. გვერდითი მსაჯობით, იუნიორთა და ჭაბუკ ფეხბურთელთა გუნდებით დაიწყო, ხოლო 5 წელიწადში საერთაშორისო კატეგორიის ფიფას ასისტენტი გახდა. ამასთანავე, საქართველოს ეროვნული კატეგორიის არბიტრია.

სახელოვანი არბიტრის ხათუნა მაისურაძის კვალდაკვალ წარმატებით მსაჯობენ სხვა მსაჯი გოგონები. კაცთა და ქალთა საფეხბურთო გუნდების მსაჯობის 16 - წლიანი კარიერის განმავლობაში ხათუნამ აზიისა და ევროპის მრავალი ქვეყანა მოიარა. საქართველოსა თუ უცხოეთში ფეხბურთის მოედნებზე კამათი, კურიოზი ბევრი ყოფილა, მაგრამ კეთილი, მშვიდობიანი და ტაქტიანი მოქმედებით დაძაბულობა დაუძლევია და თამაში წარმატებით გაუგრძელებია.

ახლა 39 წლისაა. საერთაშორისო მატჩებში ქალთა მსაჯობის ასაკი 45 წელია. ეროვნულში – 47. ასე რომ არბიტრის პენსიამდე კიდევ ბევრი დრო აქვს.

პაატა მოისწრაფიშვილი,

63 წლის, საქართველოს მშვიდობის დესპანი, ხელოვანი და პილიგრიმი



პაატა მოისწრაფიშვილმა დაამთავრა თბილისის რუსთაველის სახელობის თეატრალური ინსტიტუტის სამსახიობო ფაკულტეტი. შესრულებული აქვს როლები კინოფილმებში: „ბიჭები იასამნის ქუჩიდან“, „ოთახი“, „პორფირონი“, „ანემია“, „წინამორბედი“, „ელისა და რარუს თავგადასავალი“, „სიმრძნე სიცრუისა“, „ატრაქციონი“, „ნეილონის ნაძვის ხე“, „ატრაქციონი გრძელდება“, „ჩვენ ვცეკვავთ“, „ორფეოსის სიკვდილი“, „მიდის მატარებელი“, „ძმა ჩემი, მტერი ჩემი“, „სვანი“, „ორშამათი“, „ლეონარდო“, „პირველი მეოთხე თვე“, „ექვსი და შვიდი“, „ჭა“, „ჩიტები“, „სიმღერა“. ითამაშა სატელევიზიო სპექტაკლებში: „ძნელი“, „ასტვაც ინჩუ ჰამარ“.

ბათუმის ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო დრამატულ თეატრში მონაწილეობდა სპექტაკლებში: „ეს მოხდა“, „მესამე თაობა“, „გალაკტიონის პოეზია“, „დარაბებს მიღმა გაზაფხულია“. ხოლო თბილისის მიხეილ თუმანიშვილის სახელობის კინომსახიობთა თეატრის სპექტაკლებში: „ცილინდრი“, „წუთისოფელი“, „ვატერპოლო“, „განდეგილი“.

სახვით ხელოვნებაში დააარსა მიმდინარეობა „მინდიზმი“ (ვაჟა-ფშაველას ,,მინდიას“ აპოლოგია). მოაწყო პერსონალური გამოფენები ფერწერა-გრაფიკა-ქანდაკებაში: ბათუმის ეროვნულ გალერეაში (ორჯერ), თბილისის ეროვნულ გალერეაში (სამჯერ), ასევე მხატვრის სახლში. პოეზიის, მუსიკისა და ზღაპრის საღამო გამართა ბათუმის სახელმწიფო თეატრსა და თბილისის თეატრალურ სარდაფში. დაიდგა მისი პიესები: „ზღაპარი დაიწყო“, „ზღაპარი გრძელდება“, „მელოდია ფლეიტისათვის“.

არის ავტორი სიმღერებისა: „საუკუნე“, „თეთრი ცხენი“, „ზესიყვარული“, „მხატვარი“. გამოქვეყნებული აქვს ლექსები, პიესები და ზღაპრები. განახორციელა ფეხით მოგზაურობა: ბათუმიდან იერუსალიმამდე და ნიკოფსიიდან დარუბანდამდე; ნავით მოგზაურობა მტკვრის დაყოლებით მცხეთიდან კასპიის ზღვამდე; ველომოგზაურობა თბილისიდან ბათუმამდე.

აგრეთვე მოიარა შუა აზია - ყარაყუმის უდაბნო; დაიპყრო კავკასიონის რამდენიმე მწვერვალი. არგონავტების კვალდაკვალ ისტორიულ კოლხეთში 1984 წლის ზაფხულში შემოსული ტიმ სევერინის ექსპედიციის საზეიმო გაცილებისას, ბათუმის საზღვაო ნავსადგურის აკვატორიაში შეკრებილ საზოგადოებას აჩვენა ერთი უჩვეულო სპორტული ნახტომი და ცურვით გააცილა სახელოვანი სტუმარი...

თბილისში, დიდ დიღომში, დააფუძნა „სიყვარულის უბანი“, ხოლო ძველ ბათუმში – „ცისფერი უბანი“; ორივეგან დაამკვიდრა საბავშვო ზეიმების ტრადიცია. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ აკურთხა თოვლის ბაბუად. ამ მისიას ბავშვებისათვის ასრულებს უკვე 24 წელიწადია. მომზადებული აქვს განაცხადი გინესის წიგნისათვის. ეს არის მის მიერ ხატვასა და წერაში დახარჯული ცარიელი კალმებისა და ფლომასტერების სარეკორდო კოლექცია...

მედეა მოსულიშვილი

80 წლის, მკვლევარი, პოეტი, ჟურნალისტი

1970 წელს ავსტრიაში, ვენაში, მოგზაურობის დროს მწერალმა ვლადიმერ ალფენიძემ, ბეთჰოვენისა და მოცარტის საფლავების გვერდით, აღმოაჩინა ქართველი ვაუკაცის ვლადიმერ გილიგაშვილის საფლავი. გაზეთმა „სოფლის ცხოვრებამ“ დაბეჭდა მისი ლექსების ციკლი „თეთრი რეკვიემი“. მედეა მოსულიშვილმა კი გაზეთ „კომუნისტის“ ფურცლებიდან მთელს საქართველოს ამცნო, რომ „სხვის მთაწმინდაზე ასული“ გმირი ნამდვილად მისი თანასოფლელი, არაშენდელი ლადო იყო.

სატელევიზიო ჟურნალ „მხედრულ დიდებაში“ წარმოაჩინა „სოფლის ჭრილობა“, ხოლო შინმოუსვლელთა ობელისკთან, საცხრამაისო ზეიმზე სტუმრად მოიწვია ,,თეთრი რეკვიემის“ ავტორი და ობლადგაზრდილი არაშენდელი ვაუკაცები - პოეტი ზეზვა მედულაშვილი და მსახიობი ზაზა ბაწელაშვილი.

მედეას თაოსნობით გამოცხადებულ კონკურსში „სახალხო განათლების მატიანე“, საქართველოს 40-მდე სკოლა ჩაერთო. ახმეტის რაიონის აწყურის სკოლის მატიანეში ოქროს ასოებით ჩაიწერა ამ სკოლის აღზრდილის, ზემო ხოდაშნელი ვაუკაცის, ტექსელის აჯანყების მეთაურის შალვა ლოლაძის სახელი.

ჰოლანდიაში არსებობს შალვა ლოლაძის სახელობის ქუჩა, ტექსელზე – ხეივანი, ხოლო ხოდაშენში, მის ნაფუძარზე ერთი დიდი ვარსკვლავამოკვეთილი ლოდია დადებული. შალვას მშობლებს ცხრა შვილი ჰყავდათ, ლოლაძეების შვიდი ვაუკაციდან ორი მეორე მსოფლიო ომს შეეწირა. 1989 წლის 9 აპრილის ტრაგედიამ კი შალვას ძმისშვილი – მანანა ლევანის ასული ლოლაძე იმსხვერპლა. მათი ოჯახი საქართველოს ისტორიის წიგნში შევიდა.

შალვას ჰოლანდიაში ორი შვილი – თამარი და რობერტი დარჩა. მედეამ ნიდერლანდების საელჩოსა და საქართველოს მთავრობას მიმართა წინადადებით, რომ მამაცი ქართველი მხედარი, ტექსელის აჯანყების მეთაური გამოცხადდეს ჰოლანდიის ეროვნულ გმირად და მისი სახელის უკვდავსაყოფად დაიდგას ძეგლი. ამასთანავე თბილისში ერთ-ერთ ქუჩას ეწოდოს ძმები ლოლაძეების სახელი, ლოლაძეების ნაფუძარზე კი გაშენდეს ცხრა ვაზის ხეივანი, როგორც ქართული გენის უკვდავების სიმბოლო.

მეორე მნიშვნელოვანი თემატიკა მედეას საქმიანობაში გახლავთ სოფლების აღორძინება და განვითარება. გურჯაანის რაიონში, მდინარე ლაკბეს წყალსაცავის გიგანტურ მშენებლობასთან დაკავშირებული სატელევიზიო გადაცემით, 1988 წელს დაიწყო ორი გადაშენებული სოფლის – ზიარისა და ფხოველის აღდგენა – განახლება.

ეს ისტორიული, ანდრონიკაშვილთა სამკვიდრო სოფლები, ისევ განაშენიანდა, შეიქმნა მეძრახეობის კომპლექსი და მალე არაშენდის თემის სამ სოფელთან ერთად მაღალმთიანთა რიცხვში შევიდა. 2020 წელს კი ხუთ სოფელს, მეექვსე სოფელი - მელაანიც მიემატა.

მედეამ საკუთარი ხარჯებით გამოაქვეყნა ნაშრომი „თვალსაჩინოება გეოგრაფიისა და სხვა საბუნებისმეტყველო საგნების სწავლებაში“. ნაშრომში განხილულია გურჯაანის რაიონის სოფელ ჩუმლაყის გეოგრაფიის მასწავლებლის მირონ ბერიაშვილის მოწინავე გამოცდილება მოდერნიზებული გლობუსის შექმნისა და გამოყენების შესახებ. ამ გამოგონებას, ჩვენი გმირის მეცადინეობით, მიღებული აქვს საავტორო მოწმობა; მონაწილეობდა ბრიუსელის მსოფლიო გამომგონებელთა გამოფენაში,შემდეგ საქართველოს განათლების სამინისტრომ მიანიჭა გრიფი და იგი დამხმარე სახელმძღვანელოთა სიაში შევიდა.

მანვე გამოსცა პოეტური კრებული საქართველოს დამსახურებული არტისტის, რუსთაველის თეატრის მსახიობის, აკაკი ხორავას საზოგადოების თავმჯდომარის, „ვეფხისტყაოსნის“ ზეპირად მცოდნის ბაბა ბაწელაშვილისა „სასწაული რომ მოხდეს“.

გამოსაცემად მომზადებული აქვს პოეტური და პროზაული კრებულები და ხალხური მოქმელი ქარუმა ჩივიაშვილის პოემა, სადაც ილიასეული კაკო ყაჩაღის სადარი ფხოველი ებრაელი გურაბა აჯიაშვილის თავგადასავალია გალექსილი, ხოლო ქაქუცა ჩოლოყაშვილის ერთგული ძმადნაფიცის – ჩვენი მედეას პაპის შაქრო (გიჟა) მოსულიშვილის დღემდე გახმაურებული თავისმომჭრელი ისტორიის ნაცვლად ნამდვილი საგმირო საქმენი შაირების სახითაა წარმოდგენილი.

,,შეხვედრა წიგნიკაცებთან“ რუბრიკაც მედეას მოფიქრებულია. მშობლიურ სოფელ არაშენდაში შეხვედრა მოუწყო ჩინებულ პოეტსა და მთარგმნელს ზეზვა მედულაშვილს; ხოლო ახმეტის რაიონის სოფელ აწყურის სკოლაში – ფოლკლორისტს, საბავშვო პოეტსა და ,,ვეფხისტყაოსნის“ ზეპირად მცოდნეს, შოთა ხოდაშნელს.

2004 წლის 19 ივნისს გაზეთმა „საქართველოს რესპუბლიკამ „რუბრიკით – „არის ასეთი იდეა“ გამოაქვეყნა მედეა მოსულიშვილის პრობლემური წერილი – „თბილისი წიგნის ქალაქი“. საგულისხმოა, რომ ეს პუბლიკაცია მთელი თხუთმეტი წლით უსწრებს იუნესკოს იმ გადაწყვეტილებას, რომლის ძალითაც თბილისი წიგნის მსოფლიოს 21-ე დედაქალაქად გამოცხადდა.

2017 წელს, ნიკოლოზ ბარათაშვილის დაბადებიდან 200 წლისთავის აღსანიშნავად, თბილისის 212-ე სკოლას სოფელ შინდისში მედეას თაოსნობით დაუბრუნდა დიდი პოეტის სახელი. ამჟამად მელიტონ ბარათაშვილის სამკვიდრო სახლში განთავსებული ბაგა-ბაღი ქალაქ თბილისის მერიისაგან ახალ შენობას ელოდება, რომ სოფელ შინდისის ძველთაძველ სახლში გაიხსნას ბარათაშვილთა საგვარეულო მუზეუმი.

გვანჯი მანია,
მხატვარი ალ. ციხელაშვილი

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №66, 71

1. რა ხდება ზღაპრულ არგენტინაში?!

არგენტინის რესპუბლიკა, ასე ჰქვია ოფიციალურად, ესპანურ ენაზე მოლაპარაკე ყველაზე დიდ სახელმწიფოს, რომელიც რიგით მერვეა მსოფლიოში თავისი ტერიტორიით. ის ერთ-ერთ ყველაზე მოწინავე და სწრაფად განვითარებად ქვეყანადაა მიჩნეული, და თავისი ეკონომიკური სიმძლავრეების წყალობით დიდ ოცეულშიც მოხვდა. ცნობილია, რომ 2001 წელს, ნაჩქარევი რეფორმების გამო, არგენტინაში ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისი განვითარდა, რასაც ორჯერ მოჰყვა დეფოლტი. ბრძოლა კრიზისთან ჯერ არ დამთავრებულა, რის გამოც ქვეყნის პოლიტიკური ელიტა ორ, მემარცხენე და მემარჯვენე, ბანაკადაა გახლეჩილი. არგენტინის ახლანდელი პრეზიდენტი, ალბერტო ფერნანდესი მემარცხენე დაჯგუფებას წარმოადგენს. იგი ბუენოს-აირესში დაიბადა 1959 წელს.

მისი დაბადებიდან მალე, მშობლები განქორწინდნენ, და დედა ცოლად გაჰყვა ცნობილ არგენტინელ მოსამართლეს. სკოლის დამთავრების შემდეგ, ალბერტომ ბუენოს-აირესის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე განაგრძო სწავლა. სტუდენტობისას, როკ-მუსიკით იყო გატაცებული. მეგობრებთან ერთად როკ-ბენდი შექმნა, რომელშიც, თვითონ, გიტარაზე უკრავდა. წარჩინებით სწავლობდა და, თავისი ალმამატერის რექტორმა პედაგოგის ადგილი შესთავაზა მშობლიურ უნივერსიტეტში. 24 წლის, გამორჩეული ერუდიციის წყალობით, პოპულარული ლექტორი გახდა. მის ლექციებზე სტუდენტების ტევა არ იყო ხოლმე. მალე, პროფესორის წოდებაც მიიღო. მოგვიანებით, ფერნანდესი ეკონომიკის სამინისტროს იურიდიული დეპარტამენტის უფროსის მოადგილედ გადაიყვანეს.

პარალელურად, არგენტინის პარლამენტსაც უწევდა კონსულტაციებს იურიდიულ საკითხებში. 1989 წელს ფერნანდესი ქვეყნის სადაზღვევო სისტემის მაკონტროლებელი ორგანოს თავმჯდომარედ დაინიშნა. შემდეგ, ლათინური ამერიკის სადაზღვევო სისტემის ასოციაციის პრეზიდენტად აირჩიეს. 1992 წელს, არგენტინის მასმედიამ ფერნანდესი წლის ახალგაზრდა ბიზნესმენების ათეულში შეიყვანა. ექვსი წლის მანძილზე, ფერნანდესი სამ დიდ კომპანიას მართავდა. სწორედ მაშინ დაუმეგობრდა ბუენოს-აირესის მერს, მემარცხენე პერონისტს, ედუარდო დუალდეს. ფერნანდესი მისი პარტიის წევრი 1983 წლიდან იყო, თუმცა, ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში მაინცდამაინც აქტიურად არასდროს არ ჩაბმულა. ბოლოს და ბოლოს, დუალდემ დაარწმუნა ახალგაზრდა ფერნანდესი, რომ მისი მომავალი პოლიტიკაშია. 1999 წლის საპრეზიდენტო არჩევნებზე, პარტიამ დუალდე ქვეყნის პრეზიდენტობის კანდიდატად წამოაყენა. მან თავისი საარჩევნო კამპანიის ფინანსების მართვა ალბერტო ფერნანდესს ჩააბარა.

დუალდემ წააგო ის არჩევნები, მაგრამ თავად ფერნანდესს პოლიტიკაში ჩართვის დიდი სურვილი აღეძრა. 2000 წელს ის ბუენოს-აირესის საკრებულოს დეპუტატად აირჩიეს. სამი წლის შემდეგ პარტიის ლიდერმა ნესტორ კირშნერმა ფერნანდესს თავისი საპრეზიდენტო საარჩევნო კამპანიის მეთაურობა შესთავაზა. ნესტორ კირშნერის გამარჯვებით არგენტინაში კირშნერების ოჯახის 12-წლიანი მმართველობა დაიწყო. იმავე წელს, პრეზიდენტმა პრემიერ-მინისტრის პოსტი ალბერტო ფერნანდესს შესთავაზა. 2007 წელს, ქვეყანაში ერთგვარმა დინასტიურმა მმართველობამ იჩინა თავი. ნესტორ კირშნერის შემდეგ, პრეზიდენტის პოსტზე მისი მეუღლე კრისტინა ფერნანდესი აირჩიეს. ძმრის რჩევით, ძალბატონმა პრეზიდენტმა ალბერტო ფერნანდესი პრემიერ-მინისტრის პოსტზე დატოვა, თუმცა, სულ მალე, მას გადადგომა მოუწია. გადადგომის მიზეზი სოფლის მეურნეობის მუშაკთა საყოველთაო გაფიცვა გახდა.

ითქვა, რომ პრეზიდენტს განტევების ვაცი სჭირდებოდა და ეს როლი ალბერტო ფერნანდესს ერგო. ამის შემდეგ ის ქალბატონი პრეზიდენტის მწვავე კრიტიკოსი გახდა. თავიდან, პრეზიდენტის ოპოზიციის ლიდერი იყო თავისავე პარტიაში. მოგვიანებით, საკუთარი პოლიტიკური პარტიის შექმნა გადაწყვიტა. როგორც თავად აქვს ნათქვამი, კირშნერების წყვილმა მას პარტიული იდეოლოგია შეაცვლევინა. 2012 წელს, ალბერტო ფერნანდესმა მემარცხენე მიმართულების პოპულისტური პოლიტიკური ძალა შექმნა, სახელწოდებით, შრომის და სამართლიანობის პარტია, რომელმაც მუნიციპალურ არჩევნებში ხმების მცირე რაოდენობა მიიღო. ამიტომ, ფერნანდესმა პრეზიდენტ კრისტინა ფერნანდესის მემარცხენე კრიტიკოსების ბლოკის შექმნა და საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობა გადაწყვიტა, მაგრამ 2015 წლის არჩევნებში მემარჯვენე კანდიდატმა, ბიზნესმენმა მარიო მაკრიმ გაიმარჯვა. ამ დროს, არგენტინაში უკვე ეკონომიკური კრიზისი მძვინვარებდა. ახალი პრეზიდენტი მოსახლეობას ქვეყნის კრიზისიდან გამოიყვანას შეპირდა, მაგრამ მაკრიმ რადიკალური რეფორმების განხორციელება ვერ გაბედა და გადაწყვიტა ნაბიჯ-ნაბიჯ ცვლილებების გზით წასულიყო.

ეს გადაწყვეტილება მცდარი აღმოჩნდა, რადგან ვერ მოხერხდა ინფლაციის შემცირება და კრიზისის აღმოფხვრა. 2019 წლის არჩევნები რომ მოახლოვდა, ალბერტო ფერნანდესი და კრისტინა ფერნანდესი კირშნერისა შერიგდნენ. გადაწყდა, რომ ალბერტო პრეზიდენტობის კანდიდატი გახდებოდა, გამარჯვების შემთხვევაში კი, კრისტინა, ვიცე-პრეზიდენტი. კრისტინა ფერნანდესმა კარგად იცოდა, რომ პრეზიდენტობისთვის მისი ფიგურა გაცვეთილი იყო და ამიტომ ხელისუფლებაში დასაბრუნებლად თავისი ქმრის ძველ თანამებრძოლს ამოეფარა. საბოლოოდ, ამ უცნაურმა ტანდემმა გაიმარჯვა. 2019 წლის არჩევნების შედეგად, ალბერტო ფერნანდესი არგენტინის პრეზიდენტი გახდა. ხელისუფლებაში მოსულმა პერონისტულმა პრეზიდენტმა კირშნერების დროინდელი პოლიტიკა განაგრძო.

შიდა პოლიტიკაში, ფერნანდესმა მემარცხენე პოპულისტური პოლიტიკის გატარება დაიწყო, ანუ სახელმწიფოს მეტი ჩარევა ეკონომიკაში და მინიმალური ხელფასის ზრდა. 2020 წელს, მან გამოაცხადა, რომ მაკრის დროს სავალუტო ფონდისგან აღებული 57 მილიარდი დოლარის ოდენობის კრედიტის პროცენტის დაფარვას ვეღარ შეძლებდა. ამით, არგენტინამ უკვე მეორეჯერ გამოაცხადა დეფოლტი. არგენტინის ხელისუფლება პანდემიასაც ვერ გაუმკლავდა ჯეროვნად. მრავალთვიანი ტოტალური ლოქდაუნის მიუხედავად, ქვეყანაში პანდემიის დაწყებიდან დღემდე 115 ათასზე მეტი ადამიანი დაიღუპა. ხელისუფლებამ, სპუტნიკის გარდა, ვერცერთი სხვა ვაქცინა ვერ შემოიტანა, და ისიც ძლივს მოახერხა. პირადად პრეზიდენტი, პანდემიის დროს, სკანდალში გაეხვა. მასმედიამ გაიგო, რომ ლოკდაუნის დროს, მან და მისმა მეუღლემ წვეულება გადაიხადეს, რასაც მოსახლეობის სასტიკი აღშფოთება მოჰყვა. პრეზიდენტმა პირადად მოუხადა ბოდიში ხალხს, და ერთგვარი კომპენსაციის სახით, რომელიღაც საქველმოქმედო ფონდში ფული გადარიცხა. ფერნანდესი საგარეო პოლიტიკაშიც კირშნერების დროინდელ პოლიტიკას ატარებს. კერძოდ, ამერიკასთან დისტანცირებას და რუსეთთან დაახლოვებას ცდილობს. ახლახანს, არგენტინის მთავრობამ განაცხადა, რომ ბრიკსის ორგანიზაციაში გაწევრიანება სურს. შეგახსენებთ, რომ ბრიკსი წარმოადგენს რუსეთის, ჩინეთის, ინდოეთი, ბრაზილიისა და სამხრეთ აფრიკის ქვეყნების გაერთიანებას. ფერნანდესმა, ასევე, ლოიალური დამოკიდებულება დაადასტურა ვენესუელას რეჟიმის მიმართ.

ყოველივე ამის გამო, პრეზიდენტი განუწყვეტელი კრიტიკის ქარცეცხლშია. ამომრჩეველს იმედი ჰქონდა, რომ ალბერტო ფერნანდესი კრისტინა ფერნანდესისგან განსხვავებით, რომელიც ოპონენტებთან სიხისტით გამოირჩეოდა, დიალოგზე ორიენტირებული ლიდერი იქნებოდა და დამოუკიდებელ პოლიტიკას გაატარებდა. დღეს კი, არგენტინაში სულ უფრო იზრდება იმ ხალხის რაოდენობა, ვინც თვლის, რომ ვიცე-პრეზიდენტს პირველ პირზე დიდი გავლენა აქვს.

ალბერტო ფერნანდესი მეორეჯერ არის დაქორწინებული. ამჟამინდელი მეუღლე, ფაბიოლა იანესი, მსახიობია. ალბერტოს პირველი ქორწინებიდან ვაჟი ჰყავს. მეორე ქორწინებაში კი, წელს, მეორე ვაჟიშვილი შეეძინა...

2. აბორტი პოლიტიკოსებსაც აფრთხობს!

აბორტის **თემა დასავლეთში, ზოგადად და, კერძოდ, ამერიკის შეერთებულ შტატებში, ყოველთვის იყო, არის და, ალბათ, მომავალშიც იქნება მძაფრი პოლიტიკური კამათის საბაბი. ხშირად, პოლიტიკოსის გამარჯვება თუ მარცხი არჩევნებში, დამოკიდებული ხდება იმაზე, თუ რას ამბობს ხოლმე ის აბორტზე, ანუ მხარს უჭერს, თუ ეწინააღმდეგება მას. ტრადიციულად, ამერიკელი კონსერვატორები, ანუ რესპუბლიკური პარტიის წევრები, აბორტის წინააღმედგნი არიან და ლიბერალები, ანუ დემოკრატიული პარტიის წევრები კი შედარებით რბილად უყურებენ საკითხს. მოკლედ რომ ვთქვათ, საზოგადოება გაყოფილია ორად: Prochoice, ანუ ქალის არჩევანის მომხრენი და Prolife, ანუ სიცოცხლის შენარჩუნების მომხრენი. რამდენიმე დღის წინ, ამერიკის უზენაესმა სასამართლომ აბორტის კონსტიტუციური უფლება გააუქმა.**

ეს იმას ნიშნავს, რომ ამერიკაში ძალაში აღარაა 1973 წლის ცნობილი სასამართლო გადაწყვეტილება, სახელწოდებით Roe v. Wade, რომელიც იცავდა ფეხმძიმე ქალის მიერ აბორტის გაკეთების უფლებას. მოკლედ, ჩაითვალა, რომ ნახევარი საუკუნის წინანდელი ის კანონი სწორი არ იყო. ამ ახალი კანონის მიხედვით, ქვეყანაში შემავალი 50-ვე შტატი, რომელთაც ხალხის მიერ არჩეული და ცენტრისგან დამოუკიდებელი ხელისუფლება მართავს, თავად გადაწყვეტს, როგორ მოიქცეს, ანუ რა უფლებები, შეზღუდვები და პროცედურები დააწესოს აბორტთან დაკავშირებით. ამ დროს, სხვადასხვა შტატში არაერთგვაროვანი განწყობაა პრობლემის მიმართ: ქვეყნის ცენტრალური შტატები აკრძალვის მომხრეა. ზოგ მათგანს უკვე კარგა ხანია აკრძალული აქვს აბორტი. ასეთი, 13 შტატია: აიდაჰო, კენტაკი, ლუიზიანა, მისისიპი, მიზური, ჩრდილო-დაკოტა, ოკლაჰომა, სამხრეთ-დაკოტა, ტენესი, ტეხასი, იუტა და უაიომინგი. არის კიდევ სხვა 13 შტატი, რომელიც მზადაა ამკრძალავი კანონის გასამკაცრებლად.

ლიბერალური მიდგომა აქვთ მხოლოდ დასავლეთ და აღმოსავლეთ ზღვისპირა შტატებს. ამერიკის უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებას ფართომასშტაბიანი სახალხო პროტესტი მოჰყვა. ხელახლა გამოჩნდა ნაცნობი ლოზუნგები: ჩემი სხეული ჩემი არჩევანია, ჩვენი უფლებები განხილვას არ ექვემდებარება და სხვა. ქალთა უფლებების დამცველმა და ფემინისტურმა ორგანიზაციებმა მწვავედ გააკრიტიკეს ახალი კანონი, აღნიშნეს რა, რომ ახლა კიდევ უფრო მოიმატებს არალეგალური აბორტების რაოდენობა, რაც დამატებით საფრთხეს შეუქმნის ქალის ჯანმრთელობას. პროტესტის სიმბოლოდ იქცა ტანსაცმლის ლითონის საკიდები, რითაც საზოგადოებას ახსენებენ არალეგალური აბორტების ბარბაროსულ და ჯანმრთელობისთვის სახიფათო მეთოდებს.

ახალმა კანონმა საზოგადოებაში რადიკალიზაციის საშიშროება წარმოშვა. შექმნილი მდგომარეობით სარგებლობენ მარგინალური დაჯგუფები, რომლებიც ქვეყანაში არეულობის მოწყობას ცდილობენ. გაჩნდა აზრი, რომ სახელმწიფომ უსაფრთხოების დამატებითი ზომები უნდა მიიღოს. ცხადი ხდება, რომ ქვეყანა გახლეჩილია. დაპირისპირება ქვეყნის პოლიტიკურ თუ ბიზნეს-ელიტაშიც შეიმჩნევა. აბორტის მომხრეა და, შესაბამისად, ახალი კანონის წინააღმდეგია, მაგალითად, მთელი ჰოლივუდი. ახალ კანონს მხარს უჭერს რესპუბლიკელთა უმრავლესობა. ყოფილმა ვიცე-პრეზიდენტმა მაიკ პენსმა ამ კანონის კიდევ უფრო გამკაცრება მოითხოვა. დონალდ ტრამპმა მხარი კი დაუჭირა ამ კანონს, მაგრამ ისიც აღნიშნა, რომ არ მოსწონს ამის გამო გამოწვეული პოლარიზაცია. ასე თქვა, ამას ჯობია, ეკონომიკას მივხედოთო.

ჯო ბაიდენმა კი, პირდაპირ განაცხადა, რომ ეს კანონი მისთვის მიუღებელია, თუმცა, პატივს ცემს ქვეყნის უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებას. მედიის აზრით, კანონი სააბორტო ტურიზმს გაზრდის ამერიკიდან სხვა ქვეყნებში. გარდა ამისა, ძალები ეცდებიან იმ შტატებში გადასახლდნენ, სადაც აბორტი არ არის აკრძალული. საინტერესოა ზოგიერთი კომპანიის განწყობაც. მაგალითად, WALT DISNEY, JPMORGAN CHASE და DICK'S SPORTING GOODS თანამშრომლებს უკვე ჰპირდება სააბორტო ტურიზმის დაფინანსებას. სპორტული ტანსაცმლის მწარმოებელი PATAGONIA-ს მენეჯმენტმა კი, განაცხადა, რომ კომპანია გადაიხდის თანამშრომელთა პროტესტების დროს მიღებულ ფველა ჯარიმას. ანალიტიკოსთა ნაწილი შიშობს, რომ ამერიკის კონსერვატული სასამართლოს შემდეგი სამიზნე, შეიძლება, კონტრაცეფცია და ერთნაირსქესიანთა პირთა ძორწინების აკრძალვა აღმოჩნდეს.

ნუგზარ ბ. რუხაძე
POS.TV

ევროპაში ნატოს უმაღლეს სარდლობას ამერიკელი გენერალი უმეთაურებს

აშშ-ის არმიის გენერალი კრისტოფერ კავოლი ევროპაში ნატოს მოკავშირეთა ძალების უმაღლეს მეთაურად დაინიშნა. კავოლიმ შეცვალა ამერიკელი გენერალი ტოდ უოლტერსი, რომელიც ამ პოსტზე სამი წლის განმავლობაში მუშაობდა.

უფლებამოსილების გადაცემის ცერემონიალს, რომელიც სამხრეთ ბელგიაში, სამხედრო ბაზაზე გაიმართა, ნატოს გენერალური მდივანი იენს სტოლტენბერგი, აშშ-ის თავდაცვის მდივანი ლოიდ ოსტინი და აშშ-ის გაერთიანებული შტაბების კომიტეტის მეთაური გენერალი მარკ მილი ესწრებოდნენ.

„ძალიან თავ-ხელმარტო ადამიანისთვის ჩქამიც შეიძლება რომ ნუგეშად იქცეს“,



– ეკრე იცყოდ ოჩრიდრის ნოტეშე

ქართულად გადმოაქცია გურამ გოგიაშვილმა

შემეცნება და ჭეშმარიტება

შემეცნებისთვის დამახასიათებელი კარგი, ნატიფი, მკაცრი გრძნობა, რისგანაც ადამიანს სულაც არ სწადს თავისთვის სათნოების შესაქმე, მრავალი სათნოების საუკეთესო ნაწილია; ოღონდ მცნება „შენ უნდა“, რისგანაც გაჩნდა ზემოხსენებული გრძნობა, თვალს უკვე აღარ ენახვის, ის ფესვით მიწაშია ჩაფლული.

* * *

ხედავდეს და არა სწამდეს – შემეცნების გზაზე შემდგარის პირველი სათნოებაა; ხილვადობა მისი უდიდესი შემაცდენელია.

* * *

თქვენ, შემეცნების მოყვარულნო! უკვე რის ქმნა მოასწარით შემეცნების სიყვარულისა გამო: იქურდეთ თუ მოკალით ვინმე, რათა შევიტყოთ, რა გუნებაზეა ქურდი და მკვლელი?

* * *

რა იცით იმის შესახებ, თუ ვითარ უყვარს შეშლილს გონება, ანდა ციებ-ცხელებით შეპყრობილს ვითარ უყვარს ყინული!

* * *

რწმენა მიზეზისა და შედეგი მიჩქმალულია ინსტინქტთაგან უძლიერესში – შურისგების ინსტინქტში.

* * *

ვისაც ამაღლებულის მიმართ ზიზღი ახასიათებს, ვისაც არა მარტო „დიახ“, არამედ „არაც“ ნამეტანი პათეტიკურად ეჩვენება, უარმყოფელ ჭკუათმყოელთ არ მიეკუთვნება და იმათ გზაზე თუ აღმოჩნდება, ეგრევე ჩერდება და განზე გარბის – სკეპსის შამბნაში.

* * *

ვის აზრსაც ერთხელ მაინც გადაუვლია მისტიკისკენ გადებული ხიდი, ის იქიდან დაღდაუსმელი აზრებით არ დაბრუნებულა.

* * *

სუყოველ დროებაში ცუდმედიდობა აღიქმებოდა ვითარცა „ბრძენთა უკეთურება“, მაგრამ ამა ცოდვიანი შემაგულიანებელი მოტივის უქონლად საცოდაობა იქნებოდა დედამიწის ზურგზე ჭეშმარიტებაც და მისი არსებობაც.

* * *

ალალმართლობა მარტოდენ ის ერთ-ერთი საშუალებაა, შემეცნებისკენ რომ მივყავართ. ის ერთ-ერთი კიბეა, ოღონდ არა თვითონ კიბე.

* * *

ჭეშმარიტება მოითხოვს, ვითარცა სუყოველი მდედრი, რომ მისი სიყვარული მისი გულისთვის, გამატყუარავდეს: ოღონდ არა მისი ცუდმედიდობა მოითხოვს ამას, არამედ მისი სისასტიკე.

* * *

ჭეშმარიტება არცროდის თავის გვერდით ვერ ითმენს კერპებს.

* * *

რაც რომ აბსტრაქტულია ჭეშმარიტება, რომლის გადაცემასაც ადამიანი ეპირება, მით უფრორე დაეჭვებულად ჯერ არს მის მიმართ გრძნობის განცდა.

* * *

ადამიანი ჭეშმარიტების რწმენას მაშინ იწყებს, ოდეს დაეჭვდება სუყოველ იმ ჭეშმარიტებაში, ადრე რომ სწამდა.

* * *

იმ არცთუ ბევრი ადამიანის საპირისპიროდ, სიამოვნებას რომ პოულობენ მოვლენათა კვანძის გახსნასა და ამა კვანძთა ქსოვილის დარღვევაში, არიან იმათ მიმართ წინააღმდეგობის გამწევნი (მაგალითად, სუყოველნი მხატვარნი და მდედრნი); ისინი კვლავ კვანძავენ და ბურდავენ მოვლენებს და ამგვარად გასაგებს ხდიან გაუგებარს და, შეძლებისამებრ, გაურკვეველს.

* * *

...ჯერ არს, მუდამ ჩინებულ იქცეოდე: ეძიებდე ყოველსავე ჩინებულს, სადაც არ უნდა და რა სახელითაც არ უნდა შეგვხვდეს, ხოლო შეხვედრისას, რითიც არ უნდა იყვეს ცუდი და უფერული, მუდამ გზა უნდა დაუთმო და არ უნდა შეებრძოლო...

* * *

შენდა უნებურად ეკითხები საკუთარ თავს: „ნუთუ რწმენის საგნის არსებობა აგრერიგად აუცილებელია, ოდეს მისი არსებობის რწმენა უკვე საკმარისია იმისთვის, რათა იმავე შედეგებამდე მივიდეთ?“

* * *

საკმარისი არ არის უშუალო თვითდაკვირვება იმისთვის, რათა შეიცნო თავი შენი: საჭიროა ისტორიის ცოდნა, რამეთუ წარსული ჩვენში მრავალ ნაღვარევად ჩქეფს...

* * *

...ყოვლის უფრორე თავისუფალ და შორსმჭვრეტელ ადამიანთა თვალში თვითგამორკვევა და თვითაღზრდა ზუსტად ასევე ხდება ყოვლისგანმსაზღვრელად მთელი კაცობრიობის მომავალი ბედ-იღბლის თვალსაზრისით.

* * *

არის არაერთი იმის ცნობილი ნიშანი, რომ შენ მოძრაობ წინ და ზევით: შენ ირგვლივ უფრო მეტი თავისუფლება იგრძნობა, ვიდრე ადრე, ცისკიდურებიც გაფართოვდა, ქარი კიდევ უფროისად გაგრილდა და, ამასთანავე, განაზდა, შერბილდა – შენ ხომ აკი ერთმანეთში აღარ ურევ სირბილესა და სითბოს...

ერთმნიშვნელოვნად მხოლოდ მე მადგას თავი მხრებზე არასწორად – სუყოველმა სხვამ ჩემზე ბევრად უკეთესად იცის, რა უნდა ვქნა და რას უნდა ავუარო გვერდი...

* * *

რასაც რომ ადამიანი განიცდის და სწავლობს, ყველაფერი კარებია როგორც პატარისთვის, ისე მოზრდილისთვის. ოღონდ პირველისთვის ეს შესასვლელი კარია, ხოლო მოზრდილისთვის – გასასვლელი.

* * *

ადამიანი არცროდის აცოცებას ტყუილუბრალოდ არ დაიწყებს ჭეშმარიტების ჭიუხზე: ან უკვე დღესვე ავი ძაღლია, ან ვარჯიშით მოიღონიერებს თავს, რათა ხვალ კიდევ უფროისად მაღლა ავიდეს.

* * *

ნუთუ რასაც ადამიანი ხედავს სამყაროს ამ ფანჯრით, ისერიგად მშვენიერია, რომ არცრა სხვა სარკმელში გახედვა არ უნდა და ის კი არა, სხვათაც თავს აკავებინებს ესეგვარი ცდისგან?

* * *

ხანუამისად ყოვლის უფრორე მდიდარი ადამიანი კარგავს იმ ოთახის გასაღებს, სადაც მთელი თავისი სიმდიდრე აქვს დაგროვილი და მაშინ უკანასკნელი ბედუღურის დარად და მსგავსად, სამოწყალოდ იშვერს ხელს, რათა გადარჩეს.

* * *

ადამიანი, რომელიც ბევრს ფიქრობს, თითოეულ ახალ აზრს, გაგონილს თუ წაკითხულს, ეგრევე ერთობლივი ჯაჭვის რგოლად წარმოიდგენს.

* * *

ადამიანის ყოვლის უფრორე ძველი აზრი გამოხატულია შემდეგი ცნობილი გამონათქვამით: „მე მუდამ მოძულე ვარ, ხოლო ყოვლის უფრორე ბავშვური აზრი გამოხატულია კიდევ უფროისად ცნობილი შემდეგი გამონათქვამით: „გიყვარდეს მოყვასი ჩვენი, ვითარცა თავი შენი“. პირველ აზრში ჩანს, რომ ადამიანის შემეცნება შეწყდა, ხოლო მეორეში – ის ჯერეთ კიდევ არ დაწყებულა.

* * *

უკეთუ ადამიანმა დაამტკიცა საგნის უმაღლესი სარგებლიანობა, ამით მან ჯერ კიდევ არ გადადგა არცერთი ნაბიჯი ამ საგნის წარმომავლობის ასახსნელად, რამეთუ საგნის სარგებლობა ჯერეთ კიდევ არ მეტყველებს მისი არსებობის აუცილებლობაზე.

* * *

თავის თავს ადამიანი შეიცნობს მარტოდენ სუყოველი საგნის შეცნობის შემდგომ: საგნები ადამიანის მხოლოდ საზღვრებია.

* * *

უკეთუ ადამიანს საკუთარი შეფასებები აქვს, ეს იმას ნიშნავს, რომ შეუძლია საგნების გაზომვა იმისდა მიხედვით, რაოდენი კმაყოფილება ან უკმაყოფილება მოაქვთ იმათ სახელდობრ ჩვენთვის და არცვისთვის სხვისთვის...

* * *

ადამიანს ყოვლის უფრორე იმის დათანხმება ეძნელება, რაც საკუთარი თავის უცოდინრობად სახელდებულია...

* * *

დღესაძამომდე ცოცხალია ძველი ილუზია იმის თაობაზე, რომ შესაძლებელია ცოდნა, თანაც კიდევ სავსებით გარკვევით, თითოეული ადამიანური საქციელის არსისა და თვისებებისა.

* * *

ჩემი თვალი – მნიშვნელობა არა აქვს, ძლიერია თუ სუსტი – ხედავს ოდენ მცირე რამ სივრცეს; სივრცეში მე ვმოძრაობ და ვარსებობ, და ჰორიზონტი ესე ჩემთვის განკუთვნილი სამყაროა, საიდანაც გამოსვლა არ ძალმიძს.

* * *

რაც არ უნდა გაჭიმოს ადამიანმა თავისი თვითშეგნება, არცრა შეიძლება, რომ ისე არასრული იყვეს, როგორც სუყოველი სწრაფვა-გატაცების სურათი, იმ ადამიანის არსებას რომ შეადგენს.

* * *

რარიგ გაჩნდა გონება სამყაროში? თავისთავად ცხადია, უგუნურად, შემთხვევით.

* * *

შესაძლოა, ოდესმე შემეცნების მიზანი სხვა პლან-მეგობრული კავშირი გახდება, და რამდენიმე ათასწლეულის სიგრძეზე ციდა ვარსკვლავიდან ვარსკვლავს გადაეცემა, მაშინ შემეცნებით გამოწვეული აღმაფრენის გრძნობა თავბრუდამხვევ სიმაღლეს მიაღწევს.

* * *

უკეთუ ადამიანის ინტელექტი განვითარდებოდა მხოლოდ და მხოლოდ ჩვენი ძალისდა შესაბამისად, ოდენ ამის გაგებას შევძლებდით, რისი გაკეთების თავიც გვექნებოდა...

* * *

მე მომწონს ყოველგვარი სკეპსისი, რაც საშუალებას მაძლევს ვუპასუხო: „ვცადოთ ეს!“ მაგრამ მე უკვე აღარ ძალმიძს რისამე გაგონება იმა საგნებსა და კითხვებზე, რომლებიც ექსპერიმენტს უარყოფენ. ესეგვარია ჩემი „ჭეშმარიტების გრძნობის“ საზღვარი, რამეთუ იქ გაბედულება ძალას კარგავს.

* * *

თუ იმ თვალით შევხედავთ ადამიანის თავს გადამხდარ ამბავს, რა თვალითაც ადამიანები ჩვეულებრივ უცქერიან სხვის თავს გადამხდარს, ეს ძალიან გვამშვიდებს, ეს მარგებელი წამალია.

* * *

„რასა ვიქმ, კერძოდ, მე? და რის მიღწევა მწადს?“ – აი, ის კითხვა, რასაც არ აყენებს თანამედროვე განათლების სისტემა და რაზეც, მაშასადამე, პასუხი არ არის, ამისთვის არა გვცალია.

* * *

არსებობს ესეგვარი, არცთუ იშვიათი, სულელური თვინიერება, რაშიც ჩაძირული ერთხელ და სამუდამოდ გამოუსადეგარი ხდება იმისთვის, რომ შემეცნების შეგირდი იყვეს.

* * *

რაიც ადამიანმა იცის და ახსოვს თავის თავზე, არცთუ იმდენად არსებითია ადამიანური ბედნიერებისთვის, როგორც რომ ზოგიერთებს ჰგონიათ. ერთ მშვენიერ დღეს თავს ის ამბავი გვატყდება, რაიც სხვებმა უწყიან (ანდა ფიქრობენ, რომ უწყიან) ჩვენზე – და მაშინ ვიგებთ, რომ ეს ბევრად უფრორე ძლიერია! უფრორე მეტად ადვილია საკუთარი მწიკვლიანი სინდისისთვის თავის გართმევა, ვინემ საკუთარი მწიკვლიანი რეპუტაციისთვის.

* * *

რა საუცხოოდ და გამოუცდელად, საშინლად და ირონიულად ვგრძნობ თავს მთელი ჩემი ცოდნით ყოველივე იმის მიმართ, რაიც ყოფა-ცხოვრებაშია! მე ჩემთვის აღმოვაჩინე, რომ უწინდელი კაცობრული და ცხოველთა სამყარო და საერთოდ ძველთაძველი დრო და მთელი საგრძნობი ყოფა-ცხოვრების წარსული, განაგრძობს ჩემში ქმნას, სიყვარულს, სიძულვილს, მოთავკუდებას, მე მოულოდნელად გამოვფხიზლდი ამა სიზმრისგან, ოღონდ გამოვფხიზლდი შეგნებისთვის.

* * *

ადამიანისთვის ხილულობა ყოვლის უფრორე მოქმედი და სიცოცხლისუნარიანი რამ არის, რაიც თვით ტანჯვაში ისერიგად გადადის წრეს, რომ ადამიანს ეგრევე აგრძნობინებს, აქ ყოველივე ხილულიაო – მაცდური სინათლეც აჩრდილთა ცეკვაც და სხვა არცრა არის რაო; აგრძნობინებს, რომ სუყოველი ამა მესიზმრეს შორის ისიც, „გულისხმას მოსული“, თავის ცეკვას ცეკვავს და ოდენ ამდენად მიეკუთვნება ყოფა-ცხოვრების ცერემონმაისტერს; აგრძნობინებს, რომ სუყოველივე შეცნობის ამაღლებული თანამიმდევრობა და ურთიერთკავშირი არის და იქნება, ალბათ, სუყოველი ამა მესიზმრის ზმანებათა ერთობის და, ამასთანავე, სიზმრის ხანგრძლივობის უზრუნველყოფის უმაღლესი საშუალება.

რელიგია. ღმერთი

ყოვლის უფრორე ძლიერ მორწმუნეს სძულს არა თავისუფალი გონება, არამედ ახალი გონება, ახალრწმენას რომ ფლობს.

* * *

ქმნა იმას ნიშნავს, რომ შენი თავიდან ის გამოიტანო, რაიც უფრორე გაცარიელებს, უფრორე გაღატაკებს და უფრორე საყვარელს გხდის. როს ღმერთმა სამყარო შექმნა, ის თავად იყო მაშინ არანაკლებ ცარიელი ცნება და სიყვარულით სავსე თავისი შესაქმის მიმართ.

* * *

სიყვარულით ქმნილი ვერ იქნება ზნეობრივი, ის რელიგიურია.

* * *

უყვარან რა, ადამიანი ქმნის ადამიანთ ხატად და მსგავსად უფლისა ჩვენისა, და მარტო შემდგომ მთელი გულით იძულებს თავის ეშმაკს.

(გაგრძელება იქნება)

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №70, 73, 76

◎ წინ, საქართველოვ!

◎ გენი ქართული

სრული სვლით – მსოფლიოსკენ!

ანუ, ასე იწერება ისტორია!

4 ივლისი. თბილისი. სპორტის ახალი მულტიფუნქციური სასახლე. მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი.

საქართველო – ესპანეთი 82:76

დამატებით დროში
ძირითადი დრო 67:67
(15:14, 22:17, 7:16, 23:20, 15:9)

საქართველო: შერმადინი 18 (5 მ), ანდრონიკაშვილი 17 (აქედან 9 – ოვერტაიმში), მაკფადენი 16 (8 პ.), შენგელია 12 (9 მ. 7 პ. 4 ჩ), სანაძე 8, ბექაური 5 (4 მ. 3 დ.), ბურჯანაძე 3, ჯინჭარაძე – 3 ქულა. ითამაშეს აგრეთვე ბოქოლიშვილმა და ბაქრაძემ.

მთავარი მწვრთნელი – ილიას ზურაბი.

გილოცავთ – ევრობასკეტისთვის აშენებული უნიკალური სპორტული სარბიელი მსოფლიოს მოქმედ ჩემპიონებთან მოპოვებული ისტორიული გამარჯვებით დავწინდეთ, რომელშიც, მართალია, იმ დიდი გუნდიდან აღარავინ დარჩა, მაგრამ კონტინენტზე უძლიერესი ლიგა ენდესას წამყვან მოთამაშეებს რომ „რეალისა“ და „ბარსელონას“ ვარსკვლავთა არყოფნაში დამატებითი მოტივაცია მუხტავდათ, დაგვეთანხმებით, არანაკლებ ანგარიშგასაწევი ფაქტორია.

მართებულად აღნიშნა მატჩისშემდგომ ინტერვიუში კულტურის, ახალგაზრდობისა და სპორტის მინისტრმა თეა წულუკიანმა – თუ 60 წლის წინათ ჩემპიონთა თასის ფინალში ძველი სამყაროს ყველაზე ტიტულოვანი სამეფო კლუბი დავამარცხეთ, ამჯერად პლანეტის მოქმედ გვირგვინოსან ამავე ქვეყნის ნაკრებს მოვუგეთო.

მეტი სიცხადისთვის დავძენთ, რომ ერთ-ერთი უდიდესი სპორტული „დერჟავის“ – პირენეელთა ძლევა აქამდე სხვა სახეობებშიც გვიმშვენებს ბიოგრაფიას – მაგალითად, უახლოეს წარსულში საუკუნის ლიდერთან ფეხბურთში (ამხანაგური შეხვედრა, 1:0 ოქრიაშვილის გოლით) და უკვე შორეულ – 1979 წლის სსრ კავშირის ხალხთა ღია სპარტაკიადაზე წყალბურთში, როცა მრისხანე მეტოქეთა რიგებში ესტიარტე ბრწყინავდა. ეს ისე, სხვათა შორის, რათა ქართული გენის განსაკუთრებულობას კიდევ ერთხელ გავუსვათ ხაზი, ახლა კი ისევ მთავარზე:

რამდენიმე დღის წინათ რიგაში უკრაინასთან უცნაურად (რბილად რომ ვთქვათ) და სკანდალურად წაგებული თამაშის შემდეგ ღირსების მატჩად ქცეულ ბრძოლაში ისევ ვერ დაგვეხმარნენ გოგა ბითაძე და გიორგი ცინცაძე, ხოლო პირველი ისტორიული სამქულიანი ახალ დარბაზში დუდა სანაძემ ჩააგდო.

ზემოთ საკადრო პრობლემები ვახსენეთ, მაგრამ, ხომ იცით, ზოგი ჭირი მარგებელია. დიახ, კაცმა ხომ იცის, რომ არა ჯერაც ბოლომდე მოუშუშებელი ტრავმის გამო ძირითადი გამთამაშებლის არყოფნა, მიეცემოდა თუ არა თავის გამოჩენის შანსი მატჩის 19 წლის გმირს რატი ანდრონიკაშვილს, რომელმაც ქართული კალათბურთის სადარბაზო ბარათით – ელვისებური გარღვევებით საკანდელიძისა და დარსაძის სოლოები გაგვახსენა.

დაახლოებით იგივე შეიძლება ითქვას ბექა ბექაურზე, რომელიც მესამე პერიოდში შექმნილ კრიტიკულ ვითარებაში ძვირფასი დაფარებებით შეეშველა ტანმაღალ პარტნიორებს და გარკვეულწილად ბითაძის როლი შეასრულა.

რაც შეეხება „ჯვაროსანთა“ დამრტყმელ ტრიოს, შერმადინმა და მაკფადენმა ჩვეულ ნორმას კი უწიეს, მაგრამ მაინც, განსაკუთრებულ ქებას იმსახურებს გუნდის კაპიტანი თორნიკე შენგელია, რომელმაც ნაღრძობი თითით და აუტანელი ტკივილით ბიჭებს ვაუკაცობის მორიგი მაგალითი უჩვენა.

ხვალ რიგაში დანიშნული უკრაინა-ესპანეთის დასკვნითი შეხვედრა საბოლოოდ გაანაწილებს ადგილებს ჩვენს ჯგუფში, მაგრამ პროგრამა-მინიმუმი – მეორე რაუნდში 2 გამარჯვებით გასვლა უკვე მიღწეულია.

იქ 3-3 წარმატებით იტალია და ისლანდია გველიან, ნიდერლანდებს კი ჯერ მოგება არა აქვთ. ასე რომ, ამოცანა კონკრეტულია – ორ-ორჯერ დავამარცხოთ ისლანდია და ნიდერლანდები, რაც მწვანე შუქს აგვინთებს ჩვენთვის პირველი ისტორიული საგაისო მუნდიალისკენ! დავძენთ, რომ ორ სასტარტო მატჩს აგვისტოში, ევრობასკეტამდე გავმართავთ.

ჩრდილოეთ მაკედონია – უკრაინა 68:73.

სატურნირო მდგომარეობა: საქართველო, ესპანეთი – 4-4, უკრაინა – 3, ჩრდილოეთ მაკედონია – 0 მოგება.

შეგახსენებთ, რომ მაკედონიელებთან მოპოვებული გამარჯვებები წამყვან ტრიოს მეორე ეტაპზე არ გადაჰყვება.

მოკლედ, ყოჩაღ ბიჭებო და ველით შემდგომ წარმატებებს!

◎ ხალიჩაზე

პლუს რვა!

უკვე გაუწყეთ, რომ იტალიის დედაქალაქში მიმდინარე 20-წლამდელ ფალავანთა ევროპის ჩემპიონატი ბურძნულ-რომაულ ჭიდაობაში საქართველოს ნაკრების ტრიუმფით დასრულდა, რომელმაც პირად ტურნირში მოპოვებულ 5 მედალთან (2 ოქრო, 2 ვერცხლი და 1 ბრინჯაო) გუნდური გამარჯვებაც მოიხვეჭა.

თანამემამულე „კლასიკოსებს“ ღირსეულად აუბეს მხარი თავისუფალი სტილით მოჭიდავეებმა – მათ რომაულ ხალიჩაზე ერთბაშად 8(!) ჯილდო (1 ოქრო, 4 ვერცხლი, 3 ბრინჯაო) დაიმსახურეს და ასევე გუნდურ ჩათვლაშიც აჯობეს ყველას.

საპატიო კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე **დავით აბდალაძე** (61) ავიდა, მხოლოდ ფინალური ბრძოლები დათმეს **ოთარ ადეიშვილმა** (79), **დავით კოღუაშვილმა** (86), **ანდრო მარგიშვილმა** (92) და **მერაბ სულეიმანაშვილმა** (125), ხოლო მესამე პრიზიორები გახდნენ **ლუკა ღვინჯილია** (57), **ლუკა ჯანეზაშვილი** (65) და **ლუკა ხუჭუა** (97).



◎ ფესტივალი



ევროპის სამხრეთში

ნოემბერში სოფია ბატუტზე მხტომელთა მსოფლიოს ჩემპიონატს უმასპინძლებს, სადაც საფუძვლიანი ამბიციებით გაემგზავრება საქართველოს ნაკრები (მთავარი მწვრთნელი – ზაურ სულაშვილი).

ფრიად წარმატებული სეზონის დამაგვირგვინებელი სერიოზული გამოცდის ღირსეულად ჩასაბარებლად უკეთ მომზადებას ისახავდა მიზნად პორტუგალიის ქალაქ კოიმბრაში გამართული მსოფლიოს ტანვარჯიშის ფესტივალი, რომელიც ორწლიანი ინტერვალით ეწყობა ხოლმე და მასში 18 ქვეყნის წარმომადგენელთა მხარდამხარ მედლებისთვის 3 „ჯვაროსანიც“ იბრძოდა. აღსანიშნავია, რომ თითოეული მათგანი სამშობლოში პრიზიორის რანგში დაბრუნდა.

უფროსები. პირველი ადგილი – ანანო აფაქიძე, მესამე ადგილი – მარი სულთანოვა.

ახალგაზრდები. პირველი ადგილი – მარიამ რაგიმოვა.

დავძენთ, რომ წელის ტკივილმა შეუშალა ხელი სარბიელზე გასვლაში ჩვენი გუნდის ლიდერს ლუბა გოლოვინას, ხოლო მის პარტნიორთა ღირსეული შედეგები **ირმა სოლოღაშვილის, რევაზ გამხოშვილის, ზურაბ კიკნაძის, გია მარმარაშვილისა** და **რუსუდან ხოფერიას** დამსახურებაც გახლავთ.

◎ აუზში

ბოლო აკორდი

მოგეხსენებათ, რომ საქართველოს წყალბურთელთა ნაკრებმა დიდი წარმატებით ითამაშა ბუდაპეშტში გამართულ მისთვის სადებიუტო მსოფლიოს ჩემპიონატზე და უძლიერესთა ათეულში დამკვიდრდა, ხოლო „ჯვაროსანთა“ უკრაინელი ლეგიონერი ბორის ვაპენსკი ბომბარდირთა შორის 17 გოლით მხოლოდ ამერიკელ ბოუმენს ჩამორჩა.

რაც შეეხება მთლიანად მე-19 ფორუმს, იგი ისტორიაში მესამედ, 1998 და 2001 წლების შემდეგ ესპანეთმა მოიგო, რომელმაც დრამატულ ფინალში პენალტებით აჯობა სარეკორდო – ოთხგზის გვირგვინოსან იტალიას (ძირითადი დრო – 9:9).

სხვათა შორის, „სკუადრა აძურამ“ მეოთხედ-ფინალში თვით მთავარი ფავორიტი მასპინძლები გამოთიშა მუნდიალიდან (3 ტრიუმფი).

დავძენთ, რომ უნგრეთის დედაქალაქში ბრინჯაო ტოკიოს ოლიმპიადის ფინალისტ საბერძნეთს ერგო.



ტურისტულ სექტორში დასაქმებული მეწარმეები ქონების გადასახადისგან გათავისუფლდნენ

„ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახური გაცნობებთ, რომ საქართველოს მთავრობის მიერ მიღებული გადაწყვეტილების შედეგად, ტურისტულ სექტორში (ასევე მასთან გათანაბრებულ სექტორში) დასაქმებული მეწარმე სუბიექტები გათავისუფლდნენ 2021 წლის ქონების გადასახადისაგან (რომლის დეკლარირებაც 2022 წელს არის გათვალისწინებული)“, — ამის შესახებ ინფორმაციას შემოსავლების სამსახური ავრცელებს.

„აღნიშნულ ცვლილებას COVID -19 პანდემიით გამოწვეული ეკონომიკური ზარალის პირობებში, განსაკუთრებით მასტიმულირებელი ეფექტი ექნება მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობისთვის.

ინიციატივის თანახმად, საქართველოს საგადასახადო კოდექსში განხორციელდა ცვლილება (კოდექსის 309-ე მუხლს დაემატა 1151 ნაწილი, და ქონების გადასახადისგან, რომლის დეკლარირება 2022 წელს არის გათვალისწინებული, გათავისუფლდა ამ მუხლის 115-ე ნაწილის „ა“ — „დ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრულ საქმიანობებში გამოყენებული ქონება, გარდა მიწისა), რომლის საფუძველზეც გადასახადის გადამხდელებს შეუმცირდებათ საგადასახადო ვალდებულება ქონების გადასახადის ნაწილში. აღნიშნული შეღავათით 1200-ზე მეტი გადასახადის გადამხდელი ისარგებლებს,

ხოლო გადასახდელი თანხის ოდენობა დაახლოებით 40 მილიონ ლარს შეადგენს.

შეღავათით სარგებლობის საქმიანობებს განეკუთვნება:

- **სასტუმროები და განთავსების მსგავსი საშუალებები;**
- **დასასვენებელი და სხვა მოკლევადიანი განთავსების საშუალებები;**
- **რესტორნები და საკვებით მობილური მომსახურების საქმიანობები;**
- **სასმელებით მომსახურების საქმიანობები;**
- **ტურისტული სააგენტოები, ტურ-ოპერატორები და სხვა დაჯავშნის მომსახურება და მათთან დაკავშირებული საქმიანობები.**

საგადასახადო შეღავათი ვრცელდება იჯარით, ლიზინგით ან სხვა ამგვარი ფორმით გადაცემულ ქონებაზეც, თუ ეს ქონება ასევე გამოიყენება რომელიმე ზემოაღნიშნულ საქმიანობაში.

აქვე განვმარტავთ, რომ შეღავათით სარგებლობის მიზნით, გადასახადის გადამხდელები წარმოადგენენ ქონების გადასახადის ყოველწლიურ დეკლარაციას (მათ შორის, საწარმოები/ორგანიზაციები - დაზუსტებულ დეკლარაციას), სადაც აისახება დაბეგვრისგან გათავისუფლებული შესაბამისი ქონება.

ამასთან აღვნიშნავთ, რომ ცვლილება არ ითვალისწინებს მიმდინარე გადასახდელის სახით ქონების გადასახადისაგან გათავისუფლებას და საწარმოების/ორგანიზაციების მიერ გადაიხდევინება გასული საგადასახადო წლის წლიური გადასახადის ოდენობით.

ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახური მოუწოდებს გადასახადის გადამხდელებს გაითვალისწინონ, რომ არასწორი ინფორმაციის წარდგენის შემთხვევაში, სახელმწიფოსთვის მიყენებულ ზიანზე, კანონმდებლობით დადგენილ ფარგლებში, პასუხისმგებლობა დაეკისრებათ.

შემოსავლების სამსახური შეგახსენებთ, რომ საწარმოების/ორგანიზაციების მიერ ქონების გადასახადის მიმდინარე გადასახდელის გადახდის სავადო თარიღია 15 ივნისი, ხოლო მიწაზე ქონების გადასახადი გადაიხდევინება არაუგვიანეს 15 ნოემბრისა.

ქვეყნის მასშტაბით წიაღის უკანონო მოპოვების 415 ფაქტი გამოვლინდა!

გარემოს **დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, 2022 წლის 6 თვის განმავლობაში, ქვეყნის მასშტაბით, წიაღის უკანონო მოპოვების 415 ფაქტი გამოავლინეს. მათ შორის 22 ფაქტი, სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნებს შეიცავს,** — ამის შესახებ ინფორმაციას გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი ავრცელებს.

მათივე ინფორმაციით, ყველაზე მეტი, 157 სამართალდარღვევა გამოვლინდა იმერეთში; სამეგრელო-ზემო სვანეთში გამოავლინეს 66 ფაქტი, კახეთში — 62, აჭარაში — 32, მცხეთა-მთიანეთში — 24, ქვემო ქართლში — 21, გურიაში — 19, შიდა ქართლში — 18, სამცხე-ჯავახეთში — 7, რაჭა-ლეჩხუმი ქვემო სვანეთშიც — 7.

სამართალდარღვევები გამოვლენილია დედაქალაქშიც; გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, თბილისში წიაღის უკანონო მოპოვების 2 ფაქტი აღკვეთეს.

სამართალდამრღვევების მიმართ შედგა შესაბამისი დოკუმენტაცია. იმ ფაქტების მასალები კი, სადაც სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნები გამოიკვეთა, შესაბამის უწყებებში გადაიგზავნა.

პოლიციამ მარნეულში მომხდარი მკვლელობა გახსნა

2000 წელს დაბადებული, წარსულში სხვადასხვა დანაშაულისთვის ნასამართლევი ფ.დ. განზრახ მკვლელობისა და ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შეძენა-შენახვა-ტარების ბრალდებით დააკავეს, — ინფორმაციას შინაგან საქმეთა სამინისტრო ავრცელებს.

„გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა, მიმდინარე წლის 3 ივლისს, ქალაქ მარნეულში ცეცხლსასროლი იარაღიდან რამდენჯერმე გასროლით ჭრილობები მიაყენა 1976 წელს დაბადებულ ვ.ო.-ს. მიყენებული დაზიანებების შედეგად, ვ.ო. სამედიცინო დაწესებულებაში გარდაიცვალა. სამართალდამცავებმა, ჩატარებული საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, დანაშაულის სავარაუდო ჩამდენი პირი, მომხდარიდან მეორე დღეს დააკავეს. დანაშაულის ჩადენის იარაღი ნივთმტკიცებადაა ამოღებული“, — აცხადებენ უწყებაში.

გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე და 236-ე მუხლებით მიმდინარეობს, რაც განზრახ მკვლელობას და ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შეძენა-შენახვა- ტარებას გულისხმობს. დანაშაული 10-დან 15 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

პროკურატურამ ტრანსნაციონალური დანაშაული გამოავლინა

საქართველოს **გენერალური პროკურატურაში ჩატარებული კომპლექსური გამოძიების შედეგად, 2.000.000 დოლარის უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის ტრანსნაციონალური დანაშაული გამოვლინდა,** — ამის შესახებ ინფორმაციას პროკურატურა ავრცელებს. უწყების ცნობით, სისხლისსამართლებრივი დევნა დაწყებულია ერთი ფიზიკური და სამი იურიდიული პირის მიმართ.

„გამოძიებით დადგენილია, რომ აშშ-ში რეგისტრირებული საწარმოს მფლობელმა და მასთან დანაშაულებრივ კავშირში მყოფმა პირებმა, ე.წ. მაღალი რეპუტაციის მქონე იურიდიული პირის სახელით, კომუნიკაცია დაამყარეს ჰონგ-კონგში მოქმედი კომპანიის დირექტორთან და იგი საყოველთაოდ ცნობილი საწარმოების აქციების შეძენის გზით, მომგებიანი ინვესტიციების განხორციელების შესაძლებლობაში დაარწმუნეს.

აღნიშნულის შედეგად, დაზარალებული კომპანიის საბანკო ანგარიშიდან აშშ-ში, მართლსაწინააღმდეგო მიზნით დაფუძნებული საწარმოს საბანკო ანგარიშზე გადარიცხულ 13 329 181.71 დოლარს, დანაშაულებრივი ჯგუფის წევრები მოტყუებით დაეუფლნენ.

შემდგომში, მართლსაწინააღმდეგოდ დაუფლებული თანხები დაანაწევრეს და მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში გადარიცხეს. მათ შორის, 1 906 263.7 დოლარი ფიქტიური დანიშნულებით და ყალბი დოკუმენტების გამოყენებით საქართველოში, ბრალდებულის საკუთრებასა და მფლობელობაში არსებული სამი საწარმოს და მასთან დაკავშირებული ფიზიკური პირების საბანკო ანგარიშებზე გადმოირიცხა. აღნიშნული ქმედებით, დანაშაულებრივი ჯგუფის წევრებმა მოახდინეს დაახლოებით 2 000 000 დოლარის გათეთრება.

საზღვრის უკანონოდ გადაკვეთის მცდელობისთვის უცხო ქვეყნის 5 მოქალაქე დააკავეს

შინაგან **საქმეთა სამინისტროს სასაზღვრო პოლიციის თანამშრომლებმა, ბოლო პერიოდში, ახალციხის სამმართველოს სასაზღვრო სექტორ „ვალე“-ს დასაცავ მონაკვეთზე ჩატარებული ღონისძიების შედეგად, ბანგლადეშის რესპუბლიკის 2 მოქალაქე: 1996 წელს დაბადებული მ.ტ. და 1982 წელს დაბადებული მ.ა. ასევე, თურქეთის რესპუბლიკის მოქალაქეები: 1982 წელს დაბადებული მ.ა, 1977 წელს დაბადებული ე.გ და 1982 წელს დაბადებული ფ.ჩ საქართველოს სახელმწიფო საზღვრის უკანონოდ, ჯგუფურად გადაკვეთის მცდელობის ფაქტზე დააკავეს,** — ამის შესახებ ინფორმაციას საქართველოს სასაზღვრო პოლიცია ავრცელებს.

აღმოსავლეთ საქართველოში კალიებს ეფექტურად ებრძვიან

სურსათის **ეროვნული სააგენტო, აღმოსავლეთ საქართველოში, კალიების საწინააღმდეგო ღონისძიებებს ახორციელებს. სახელმწიფო პროგრამის „მცენარეთა დაცვა და ფიტოსანიტარიული კეთილსაიმედოობა“ ფარგლებში, ქვემო ქართლის, შიდა ქართლის, მცხეთა-მთიანეთისა და კახეთის რეგიონებში, სპეციალიზებული ტექნიკის გამოყენებით, უკვე დამუშავებულია 25 ათას ჰექტრამდე ფართობი.**

წამლობა, რომელიც მონიტორინგის შედეგების საფუძველზე, მავნებლის გავრცელების არეალისა და ბუნებრივი პირობების გათვალისწინებით იგეგმება, მთელი სეზონის განმავლობაში, საჭიროების გათვალისწინებით გაგრძელდება.

„კალიების საწინააღმდეგო ღონისძიებებს სურსათის ეროვნული სააგენტო ყოველწლიურად ახორციელებს. შედეგად, მცირდება მავნებლის რაოდენობა და, შესაბამისად, სასოფლო-სამეურნეო კულტურებისა და მწვანე საფარის დაზიანების ფაქტები. აღმოსავლეთ საქართველოში, ძირითადად, გავრცელებულია საშიში მავნებელი იტალიური კალია, რომელიც აზიანებს სასოფლო-სამეურნეო კულტურებს, ანადგურებს მწვანე საფარსა და ნარგავებს“, — აღნიშნულია გავრცელებულ ინფორმაციაში.

საბერძნეთში ხანძრებია

ბოლო 24 საათში, საბერძნეთში ხანძრის 52 ახალი კერა გაჩნდა. საბერძნეთის სახანძრო სამსახურში აცხადებენ, რომ ქვეყნის მასშტაბით ხანძრის საფრთხე კვლავ მაღალია. მეხანძრეები აგრძელებენ ბრძოლას ტყის ხანძრის წინააღმდეგ, რომელიც კვირას დასავლეთ პელოპონესში, აქაიის რეგიონში, პორტესის რაიონში გაჩნდა.

ძლიერი ქარი და მაღალი ტემპერატურა ნიშნავს, რომ ხანძრის რისკი ძალიან მაღალი რჩება ატიკაში, ცენტრალურ საბერძნეთში, დასავლეთ საბერძნეთში, პელოპონესსა და ეგეოსის აღმოსავლეთ კუნძულებზე.

ავსტრალიაში წყალდიდობაა

გადაულეგელი **წვიმის შედეგად, ავსტრალიის ახალი სამხრეთი უელსის შტატს, კერძოდ, ქალაქ სიდნეისა და მის შემოგარენს ძლიერი წყალდიდობა დაატყდა თავს. ხელისუფლება დაჟინებით მოუწოდებს მოსახლეობას, დაუყოვნებლივ დატოვონ საცხოვრებელი სახლები და დაცულ ადგილებში გადავიდნენ. ევაკუაციის განკარგულება დაახლოებით 50 000 ადამიანს შეეხება.**

წელს სიდნეის უკვე მესამედ დაატყდა თავს ძლიერი წყალდიდობა. წყალდიდობის შედეგად, ათასობით ოჯახი ელექტროენერგიის გარეშეა დარჩენილი, დაზიანებულია გზები, დატბორილია საცხოვრებელი სახლები.

რეკორდული გვალვა იტალიაში

იტალიის **მთავრობის განკარგულებით, ქვეყნის ჩრდილოეთით მდებარე რეგიონებში, რეკორდული გვალვის გამო საგანგებო მდგომარეობა გამოცხადდა ხუთ რეგიონში — ემილია რომანიაში, ფრიული-ვენეცია-ჯულიაში, ლომბარდიაში, პიემონტსა და ვენეტოში.**

როგორც იუწყებიან, ზოგიერთ ქალაქში, კერძოდ, ვერონაში, გვალვის გამო, წყლის გამოყენების შეზღუდვაც კი შემოიღეს. ამავდროულად, იუწყებიან, რომ გვალვა შესაძლოა გავრცელდეს იტალიის ცენტრალურ და სამხრეთ ტერიტორიებზეც. ივნისის ბოლოს, აგროკულტურული სექტორის ასოციაცია გამოვიდა გაფრთხილებით, რომ მოსალოდნელი იყო ბოლო 70 წლის განმავლობაში ყველაზე ხანგრძლივი და მძიმე გვალვა. მათი პროგნოზით, გვალვას იტალიის სოფლის მეურნეობის ინდუსტრიისთვის 3 მილიარდი ევროს ზარალის მიყენება ძალუძს.

უმშვენიერესი ზარზმა ახლდება...

საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრი თეა წულუკიანი ზარზმაში იმყოფებოდა, სადაც არქიტექტორ-რესტავრატორ ტარიელ კიპაროიძესთან, ახალციხისა და ტაო-კლარჯეთის მიტროპოლიტ თეოდორესთან (დიმიტრი ჭუაძე), კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს დირექტორ ნიკოლოზ აზნაურაშვილთან და მუნიციპალური განვითარების ფონდის დირექტორ დავით ტაბიძესთან ერთად, ზარზმის მონასტრის მდგომარეობას და სარეაბილიტაციო სამუშაოების პროცესს გაეცნო.

მინისტრმა მიიღო ინფორმაცია ზარზმის მონასტერში მიმდინარე სარეაბილიტაციო სამუშაოების შესახებ, რომლის პროცესშიც არქიტექტორ-რესტავრატორებმა ახალი დაზიანებული კერები გამოავლინეს. კერძოდ, ხარაჩოების მოწყობის შემდეგ აღმოჩნდა, რომ ბუნების ზემოქმედების შედეგად სახურავი ნაწილობრივ დაზიანებულია და განსაკუთრებულ ყურადღებას საჭიროებს. შედგა შეთანხმება, რომ ძეგლის რეაბილიტაციის პროცესში, მუნიციპალური განვითარების ფონდთან ერთად სსიპ კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტო აქტიურად ჩაერთვება.

კულტურის სამინისტროს ცნობით, ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი, ზარზმის მონასტერი სოფელ ზარზმაში, სამცხე-ჯავახეთის მხარის ადიგენის მუნიციპალიტეტში მდებარეობს და ის ეროვნული მნიშვნელობის მქონე კულტურული მემკვიდრეობის ძეგლია. 2012 წლიდან, მონასტერში არსებული პრობლემების აღმოსაფხვრელად არაერთი ქმედითი ნაბიჯი გადაიდგა საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსა და მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ მსოფლიო ბანკის მიერ გამოყოფილი სახსრების შესაბამისად.

ხიხანზე ტურისტები უპრობლემოდ ავლენ...

ხიხანის ციხეზე ასავლელი ტურისტული ბილიკის მოწყობა დაიწყო. ერთკილომეტრიანი საფეხმავლო ბილიკის ძირითადი ნაწილი გაფართოებულია. მიმდინარეობს ბილიკის დასუფთავება და მომზადება მოაჯირების, კიბეებისა და მოსასვენებელი ადგილების მონტაჟისთვის.

მათივე ინფორმაციით, ზღვის დონიდან 2236 მეტრზე მდებარე ხიხანის ციხე ერთ-ერთი ყველაზე კარგად შემონახული და რთულად მისასვლელი ციხე-სიმაგრეა აჭარაში. ციხე უნიკალურია, როგორც თავისი ადგილმდებარეობით და იერსახით, ისე გარშემორტყმული ლანდშაფტით.

ტურისტული ბილიკის კეთილმოწყობა ხიხანის ციხის დალაშქვრის გამარტივების მიზნით დაიწყო, რაც ციხეზე ასვლას ტურისტებისთვის უსაფრთხოსა და მიმზიდველს გახდის.

ლუდის შადრევანი – ვენის ცენტრში

ავსტრიის ლუდის პარტიამ ვენის ცენტრალურ მოედანზე ლუდის შადრევანი გახსნა. გამოცემის ინფორმაციით, პარტიის ხელმძღვანელობა ამომრჩევლებს შადრევნის დადგმას ჯერ კიდევ 2 წლის წინ დაპირდა, როცა ადგილობრივ პარლამენტში ადგილები მიიღო. თუმცა პირობის შესრულება კორონავირუსის პანდემიის გამო ვერ მოხერხდა.

როგორც „ლუდის პარტის“ ლიდერმა – პანკ-ჯგუფ Turbobier-ის ლიდერმა დომინიკ ვლაცნიმ განმარტა, მობილური შადრევანი 4 ონკანით მოედანზე მუდმივად „ბიუროკრატიული მიზეზების“ გამო ვერ იდგება, ამიტომ მას პარტიის მიერ ორგანიზებულ ღონისძიებებზე გამოიყენებენ.

ვლაცნიმ „ლუდის პარტია“ 2015 წელს დააარსა. პარტიის მთავარი პრიორიტეტები ნატურალური ლუდის მოხმარება, კლიმატის ცვლილებასთან ბრძოლა და კულტურის განვითარებაა.



დათო ევგენიძე: საოცარი მუსიკოსები იყვნენ, რომლებმაც ქართული კულტურა, ხალხური სიმღერები და ჩვენი პატრიარქის საგალობლები წარმოადგინეს

„ძალიან სასაცილოა... კრიტიკა საიდან იყო, ამასაც დიდი მნიშვნელობა აქვს. ჩემგან დაწერეთ, რომ კრიტიკულ კომენტარებზე პასუხიც არ მაქვს, ვერც ვბრაზდები, – მეცინება. არა მგონია, მათ ჩემზე კარგად ესმოდეთ მუსიკა... კონსერვატორიაში როცა ვსწავლობდი, მსოფლიოს ხალხურ მუსიკას გავდიოდი და ჩვენს ვოკალურ მუსიკას მთელ მსოფლიოში საერთოდ ბადალი არ აქვს! საქართველოს გამარჯვება რომ არ უხარიათ ადამიანებს, ეგ ჩემთვის ძალიან უცნაურია!

მე ვიტყოდი, რომ ეს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დღეა საქართველოს ისტორიაში. საოცარი მუსიკოსები იყვნენ, რომლებმაც საოცარი ქართული კულტურა, ხალხური სიმღერები და ჩვენი პატრიარქის საგალობლები წარმოადგინეს... ეს არის სადღესასწაულო ამბავი, რაც მოხდა და ყველა ქართველმა უნდა იდღესასწაულოს! ქართული კულტურის უდიდესი წარმატება იყო!“, – ასე ეხმიანება ცნობილი კომპოზიტორი დათო ევგენიძე მათ, ვინც საპატრიარქოს გუნდის მიერ ვატიკანში გამართული კონცერტი გააკრიტიკა.

ევროს სკულპტურა აუქციონზე გაიყიდება

ევროკავშირის ერთიანი ვალუტის, ევროს გამოსახულების სკულპტურა, რომელიც წლებია, ფრანკფურტში ევროპის ცენტრალური ბანკის ყოფილი სათაო ოფისის სიახლოვეს არის განთავსებული, აუქციონზე გაიყიდება.

„14 მეტრის სიმაღლის სკულპტურა, რომელიც 2001 წელს, ევროს ბანკნოტების შემოღების პარალელურად დაიდგა, გადაურჩა ფინანსურ კრიზისს, თუმცა ახლა მისი შენარჩუნება ძალზედ ძვირი ჯდება“, – წერს Politico. მანფრედ პოლმა, არაკომერციული ორგანიზაცია Frankfurter Kultur Komitee-ის ხელმძღვანელმა, რომელიც 21 წელია სკულპტურაზე ზრუნავს, თქვა, რომ მზარდი ვანდალიზმი და სპონსორების ნაკლებობა იძულებულს ხდის, ნამუშევარი აუქციონზე გაიტანოს ამ წლის ოქტომბერში. პოლის განცხადებით, მისი ორგანიზაცია 100-ზე მეტ ბანკს დაუკავშირდა სპონსორობის მოთხოვნით, თუმცა ამაოდ. მისივე თქმით, ევროპის ცენტრალური ბანკი ყოველწლიურად 15 000 ევროს გამოყოფს სკულპტურის მოვლა-პატრონობისთვის, თუმცა ეს თანხა საკმარისი არ არის. ამასთან, მანფრედ პოლი პოტენციურ მყიდველებს აფრთხილებს, რომ სკულპტურა 50 ტონას იწონის.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ჟავჟავაძის გამზირი №17ა

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ძოგულია
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „ახალი საუკუნე – გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 53-76-16; 599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
იბეჭდება სტამბა „კოლორში“
ე. გაღდავაძის №3
კოლორ ჯგუფი

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
2 009882 616932

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა პარასკევს, 8 ივლისს

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.8762; ევრო - 3.0062
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.4888;
100 რუბლი - 5.1945; თურქული ლირა - 0.1736;
აზერბაიჯანული მანათი - 1.6989;
1000 სომხური დრამი - 7.0886.

ამინდი 6 ივლისისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:		
ბარი -	ღამე +14,	დღე +32
მთიანი რაიონები -	ღამე +10,	დღე +30
დასავლეთი საქართველო:		
ბარი -	ღამე +13,	დღე +30
მთიანი რაიონები -	ღამე +11,	დღე +30
თბილისი:	ღამე +18,	დღე +31

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 599-79-76-79, 599-36-00-35
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge
ვებ-გვერდი: www.sakresp.ge